# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№56 (9887) 2025 წლის 16 აპრილი, ოთხშაბათი




ზურაბ ხონელიძე:

## ყველა უბედურების სათავე ჩვენ ვართ, რადგან დღევანდელი დღე ჩვენ შევქმენით!..

- გადავიტანოთ სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში!
- ქვეყნის საგარეო ორიენტირს მისი ისტორიული აუცილებლობა განსაზღვრავს!

იხ. 4-5 გვ.





## თინათინ მღვდლიაშვილი

### დავით მეფეს

ვერ დავიცავით
სრულიად საქართველო,
ვერ მოვუფრთხილდით წამით!
ხმალი დაგვიჟანგდა,
სისხლი გაგვიწყალდა,
დავპატარავდით,
დავით!

12

## ხელოვანი ხალხი ცუდად ერკვევა პოლიტიკაში, განსაკუთრებით, მომღერლები!..





იხ. 3 გვ.

## თვალადური ქართულის მეჭაშნიკე

12

გიორგი შატბერაშვილის პატივგება




## აქციაზე დაზარალებულმა პოლიციელმა მხედველობა დაკარგა!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა, ნოემბერ-დეკემბერში გამართული ძალადობრივი აქციების დროს მიღებული დაზიანების შედეგად მხედველობა დაკარგა. კერძოდ, 29 ნოემბერს ოპოზიციის აგრესიულმა აქტივისტებმა მას ბლაგვი საგანი ესროლეს. პოლიციელს რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა საქართველოსა და თურქეთში, თუმცა სამწუხაროდ, დაზიანების სიმძიმის გათვალისწინებით, მხედველობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერ-დეკემბერში, რადიკალური ოპოზიციის ძალადობრივი აქციების დროს სხვადასხვა მძიმე დაზიანება ათეულობით სამართალდამცველმა მიიღო.

ალეკო ასლანიშვილი

## მებრელთა საქმე

იხ. 6-7 გვ.



ვალერიან ლომიძე

## ერის გადარჩენა ქართველთა უპირველესი საზრუნავია!

## ღმერთო, მოგვმადლე გამრავლების ნიჭი!

იხ. 8 გვ.

## 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო იქნება ქართული ენის სწავლება!

2



WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# დღეს - ხვალისთვის

# საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანში



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი გუშინ პირველი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვია.**

ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ყაველაშვილს აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი** მასპინძლობს. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, შედიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ლაშა დარსალია** და პარლამენტის წევრები – **გივი მიქანაძე, ზაურ დარგალი** და **სავალან მირზოევი.**

**„მოხარული ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტის რანგში, ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი ჩვენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში, აზერბაიჯანში შედგა“,** – დაწერა სოციალურ ქსელში **მიხეილ ყაველაშვილმა**.




# დედაენისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ში

**ქართული ენის დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „სალიტერატურო ენის საკითხები: ძირითადი ტენდენციები და პრობლემები“, ასევე, რარიტეტული წიგნების და ცნობილი უცხოელი ქართველოლოგების ნაშრომების გამოფენა გაიმართა.**

ქართველმა მეცნიერებმა, უცხოელ კოლეგებთან ერთად ქართული ენის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მისი განვითარების ხელშეწყობაზე იმსჯელეს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე ქართული ენისადმი მიძღვნილი აქტუალური საკითხები. მათ შორის ქართული ენის ფუნქციონირება და მისი სტანდარტიზაციის პროცესი, ქართული ტერმინთბანკის ტექნიკური ამოცანები და სამეცნიერო მიზნები, ქართული ენის ციფრული სწავლების მნიშვნელობა და სწავლასწავლების თანამედროვე მოდელი, საზოგადოების დამოკიდებულება სალიტერატურო ენის ნორმებისადმი, იურიდიული ენის სტანდარტიზაციის პრობლემები თანმიმდევრული თარგმნის კონტექსტში სხვადასხვა ენის მაგალითზე, სოციალური ქსელების ენის თავისებურებანი და ძირითადი ტენდენციები და სხვა.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი – 1629 წელს რომში დაბეჭდილი ქართული ანბანი ლოცვებითურთ, რომელშიც პირველი შვიდი გვერდი უკავია მხედრულ ანბანს, დანარჩენ გვერდებზე ლოცვები, ღვთისმშობლის საგალობელი, მრწამსი და ათი მცნება ქართულად და ლათინურ ენაზე ქართული ტრანსკრიფციით. ასევე, 1670 წელს რომში გამოცემული ფრანცისკო მარია მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკა“, რომელშიც გამოქვეყნებულია ქართული დამწერლობის სამივე სახე, ქართული ანბანი რიცხობრივი შესატყვისებით, ქართული სიტყვები და ფრაზები, არაბულ-ქართული ანბანი.

ექსპოზიციაში, რომელიც თსუ ბიბლიოთეკამ მოაწყო, ასევე, წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემა. „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“ 1876 წელს დაიბეჭდა თბილისში „მელიქიშვილის და კამპანიის სტამბაში“.

# ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ენათმეცნიერები და ქართული ენის პედაგოგები დააჯილდოეს

**14 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნა, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და სტუმრებს ქართული ენის დღე მიულოცა.**

ღონისძიების ფარგლებში მინისტრმა ენათმეცნიერებსა და პედაგოგებს, რომელთაც გამორჩეული წვლილი მიუძღვით ქართული ენის შენარჩუნება-განვითარების საქმეში, საპატიო ჯილდოები გადასცა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და ქართული ენის დღე მიულოცეს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ნინო წილოსანმა; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გია ალიბეგაშვილმა.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილი, ასევე, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს საპატრიარქოს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე ქართული ენის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის საპატიო ჯილდო გადაეცა: **დარეჯან თვალთვაძეს** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, **მანანა კვაჭანტირაძეს** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ს, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი.




**ავთანდილ არაბულს** – ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ელენე მაჭავარიანს** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, **ლადო ზირაქაშვილს** – თსუ-ს არაბული ფილოლოგიის დოქტორანტი, **გია მურღულიას** – ფილოლოგიის დოქტორი და პედაგოგი, **ელზა აშიროვას** – თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, **ვაზგენ კადჟოიანს** – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ხანჩალის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, **აბილ ორუჯოვს** – მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, **არამ ანტანოსიანს** – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩმანის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, **გოშკარ კულიევს** – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, **თამარ ჩხაიძეს** – ქალაქ თბილისის 37-ე საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, **ეკა ბუთხუზს** – ქალაქ თბილისის 149-ე საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა.

1978 წლის 14 აპრილს რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა რამდენიმე ათასმა ადამიანმა სიცოცხლის ფასად დაიცვა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას უკავშირდება ქართული ენის დღედ 14 აპრილის გამოცხადება.



# 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო იქნება ქართული ენის სწავლება!

**„2005 წელს მაშინდელი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობის ზეპირსიტყვიერი მითითებით, უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო პროგრამიდან მიზანმიმართულად ამოღებულ იქნა ქართული ენის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლება,“** – ამის შესახებ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიგი მიქანაძემ** განაცხადა.

**„იმ პერიოდში გაუქმდა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის შესაბამისი კომისია, პარლამენტში გაუქმდა ქართული ენის ქვეკომიტეტი, გაუქმდა ენის პალატა, საჯარო სკოლებში შემცირდა ქართული ენის სწავლების საათები, ხოლო ბაკალავრიატზე მთლიანად ამოიღეს სავალდებულო პროგრამიდან ქართული ენის სწავლება.**

**კომიტეტი უახლოეს დღეებში დააინიცირებს საკანონმდებლო ინიციატივას, რომლითაც საქართველოში შესაბამის კანონებში იქნება შეტანილი ცვლილებები და 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრიატზე აღდგება და სავალდებულო იქნება ქართული ენის სწავლება“,** – აღნიშნა **გიგი მიქანაძემ.**

# ქართული დამწერლობის დარბაზი ეროვნულ ბიბლიოთეკაში

**14 აპრილს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში ქართული დამწერლობის დარბაზი გაიხსნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ღონისძიებაზე მოწვეულ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ, დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ მაკა გურგენიძემ და სხვებმა.

ქართული დამწერლობის დარბაზის გახსნის ღონისძიება დედაენის დღეს მიეძღვნა.



ამ დღესთან დაკავშირებით დარბაზში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცული „დედაენის“ უნიკალური ეგზემპლარები (მათ შორის იაკობ გოგებაშვილის ხელით ჩასწორებული „დედაენა“) გამოიფინა.

**ეროვნული ბიბლიოთეკის ამ ახალ სივრცეში სხვადასხვა სახის კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები დაიგეგმება.**



# ხელოვანი ხალხი ცუდად ერკვევა პოლიტიკაში, განსაკუთრებით, მომღერლები!..











## for.ge გთავაზობთ საუბარს ცნობილ ექსპერტთან, ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან:

**– პაატა ბურჭულაძე, რომელსაც ვერ გაურკვევია, რუსი ბანია, ქართველი, თუ მსოფლიო დონის მომღერალი, ნაცების ბრძოლის ავანგარდშია და მართვის სადავეების ხელში აღებისკენ მოუწოდებს მომიტინგეებს. ზოგადად, ხელოვან ადამიანებს რატომ უჩნდებათ ცდუნება, ემსახურონ პოლიტიკოსებს და, მით უმეტეს, მწამებელთა პარტიას – ნაცებს? ხელოვნება ხომ, წესით, ჯალათებისგან შორს უნდა იყოს? არის ასეთი მოსაზრება, რომ პაატა ბურჭულაძე მიჩვეული იყო პრივილეგიებს, თანხებს, საჩუქრებს ნაცების მხრიდან და ამჟამად სწორედ იმიტომ უხდის ხარკს ნაცებს, რომ გამწარებულია, რადგან ზედიზედ მისდის ჯარიმები. ამითაც ხომ არ აიხსნება პირადი მიჯაჭვულობა ნაცებთან?**

**– რამაზ საყვარელიძე:** თქვენი კითხვის ფორმულირება ზოგადად ხელოვან ადამიანებს ეხება და უფრო საინტერესოა, ვიდრე მხოლოდ პაატა ბურჭულაძეზე რომ ვისაუბროთ. გახსოვთ, ალბათ, პაატა ბურჭულაძემ ადრეც სცადა პოლიტიკაში შემობიჯება, მაშინდელი მოტივი სულ სხვა იყო, ის იმ ტიპის ადამიანია, სადაც ფულს და ძალაუფლებას აქვს მნიშვნელობა. ფაქტია და მაგასაც ვხედავთ, რომ ხელოვნების წარმომადგენელთა ძალიან დიდი ჯგუფი, მთელი ლაშქარი ოპოზიციის მხარეს იკავებს, დავარქვათ ამას ნაცების მხარე, თუ, ზოგადად, ოპოზიციის მხარე. თანაც, ამ მხარდაჭერაში მათ მატერიალური ან პოლიტიკური სარგებელი არ ელოდებათ. ვფიქრობ, ხელოვანი ხალხი ცუდად ერკვევა პოლიტიკაში, განსაკუთრებით, მომღერლები. ეს ადამიანები ცუდად ერკვევიან პოლიტიკაში არა იმიტომ, რომ ვინმე უკეთესად ერკვევა, უბრალოდ, მოცემულობაა ასეთი, რომ ხელოვანები და სპორტსმენები, რომლებიც ემსგავსებიან ამ ნიშნით ერთმანეთს, პოლიტიკაში ცუდად ერკვევიან. ამავე დროს, ეს ხალხი სახელიანია, საზოგადოება მათ უყურებს და მათაც უჩნდებათ თავისი პოლიტიკური გემოვნების მანიფესტირების, გასაჯაროების პრეტენზია.

**– ამ ტიპის ხელოვანები სცენის ნაკლებობას ხომ არ განიცდიან, როცა სახელოვნებო სცენის ნაცვლად რუსთაველზე პოლიტიკურ ავანსცენაზე იკავებენ ადგილს და თეატრალური პუბლიკის ნაცვლად პოლიტიკურად ანგაჟირებულ ხალხს მიმართავენ? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასაკთან ერთად ხელოვან ადამიანებზე მოთხოვნა ნაკლებია და ამიტომაც პოლიტიკაში ახდენენ რეალიზებას?**

– სცენაზე გასვლის ნაკლებობა შეიძლება მათ არ ჰქონდეთ, საკმაოდ დიდი ფიგურები გვახსოვს ქართულ სინამდვილეში, განებივრებული სახელებით, მაგრამ მათ ისეთი პოლიტიკური პოზიცია ჰქონდათ, გაგიკვირდებოდათ. ბუბა კიკაბიძე გამახსენდა ამასთან დაკავშირებით.

**– 90-იან წლებშიც ასე იყო, ინტელიგენცია განუდგა ზვიად გამსახურდიას. სხვათა შორის, ერთი უცნაური დამთხვევაა, რომ ინტელიგენციის ზუსტად ის ნაწილი, რომელიც ზვიადს ებრძოდა, დღესაც ბრძოლაშია, ოღონდ ებრძვის ახლანდელ ხელისუფლებას.**

– მაშინაც ასე მოხდა, როგორც ჩანს, ასეთია სახელიანი ფენების ხელწერა. თორემ მიწაზე მომუშავე გლეხი თვლის, რომ პოლიტიკაში შეიძლება არ ერკვეოდეს, რადგან ის მიწითაა დაკავებული. ასევე, მუშა, ბიზნესმენიც კი შეიძლება არ ერკვეოდეს პოლიტიკაში, თუმც ბიზნესმენს მაინც პოლიტიკასთან ანგარიშსწორება და პოლიტიკაში გარკვევა უწევთ. უამრავი პროფესიაა, რომელიც პოლიტიკასთან არ არის უშუალო კავშირში. მათ შორის, მასწავლებლობა, ექიმობა, მათ თავიანთი საქმე აქვთ, სწორედ იმიტომ, რომ თავიანთი საქმე მათგან ძალიან დიდ ინტელექტუალურ რესურსს და დროს ითხოვს, აღარ რჩებათ პოლიტიკაში გარკვევის დრო. აგერ, ექსპერტებად ვითვლებით, გამუდმებით ვადევნებთ თვალს პოლიტიკას და პერიოდულად ანგარიშს ვაბარებთ საზოგადოებას, მაგრამ არც ჩვენ გვაქვს გარანტია, რომ პოლიტიკაში სრულყოფილად ვერკვევით. ფაქტია, ადვილი არ არის პოლიტიკაში გარკვევა. მით უმეტეს, ისეთ არეულ პერიოდში, როგორშიც გვიწევს ცხოვრება. ამიტომ ნუ ვიქნებით მომთხოვნი სხვადასხვა ფენის სპეციალისტების მიმართ, რომ აუცილებლად უნდა ერკვეოდნენ პოლიტიკაში. ამ სფეროში გარკვევა არანაკლებ ძნელია, ვიდრე მედიცინაში გარკვევა. რატომ არ ვთხოვთ მსახიობებს, დიაგნოზი დაუსვან ავადმყოფს? იმიტომ, რომ ვთვლით, ეს რთულია. ამ დროს აქ ერთი ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმზეა საუბარი, პოლიტიკასთან დაკავშირებით კი მთელი სახელმწიფოს ორგანიზმზეა საუბარი. დღეს, მაგალითად, ერთ სახელმწიფოზე კი არა, პლანეტის პოლიტიკური ცხოვრების დიაგნოზზეა ლაპარაკი და სწორედ ამ გლობალური დიაგნოზიდან უნდა გამოვიყვანოთ საქართველოს პოლიტიკური დიაგნოზი. ამდენად, რა უფრო ადვილია – ექიმობა, თუ პოლიტიკაში გარკვევა?!

**– ხელოვანი ადამიანების მერკანტილური ინტერესები არასდროს გამოირიცხებოდა. სააკაშვილმა იცოდა ინტელიგენციის „შებმის“, გადაბირების ხერხები, ხან ინდაურს მიართმევდა მათ, ხან სხვა საჩუქარს, სხვა საქმეა, როგორ მოიხსენიებდა მათ – ჩარეცხილებად, თუ ჩაურეცხავებად...**

– გეთანხმებით, ეს ხერხები ყველა ხელისუფალმა იცოდა. შევარდნაძესაც ჰქონდა ეს ხაზი, იგი სპეციფიკურად განიხილავდა ცნობილ ადამიანებს, ყველა პოლიტიკოსს აქვს ეს ხაზი სწორედ იმიტომ, რომ ცნობილ ადამიანებს გავლენა აქვთ სხვა ადამიანებზე. ჩვენი საუბარი რაციონალური დიალოგია და არა პიარისთვის საუბარი, მოსახლეობას უნდა გავუზიაროთ რაციონალური პოზიცია, მოსახლეობის ასეთი პოლიტიკური კვალიფიკაციის ამაღლებისთვის კი უპრიანია, გვახსოვდეს, რომ, პრაქტიკულად, პოლიტიკაში კომპეტენციის ხარისხი ყველგან ძალიან დაბალია, მით უმეტეს, ახალგაზრდებშია ძალიან დაბალი, რადგან მათ გამოცდილება აკლიათ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური იმპულსიც დაბალია ახალგაზრდებში, პირიქით, პოლიტიკური იმპულსი ახალგაზრდებში ძალიან მაღალია. ამიტომაა, რომ ყველა პოლიტიკოსი ახალგაზრდებს ადვილად მართავს. ახალგაზრდებს იოლად მართავდნენ ყოველთვის. მაო ძედუნმა ხუნვეიბინები შექმნა იმისთვის, რომ მის ოპონენტებს ახალგაზრდები გასწორებოდნენ. ოპონენტები გამოაცხადა მტრად და შეუსია ხუნვეიბინები. მაო ძედუნი სპეციალურად ვახსენე, როგორც ყველასთვის მიუღებელი ფაქტი, მაგრამ, თავისთავად, ახალგაზრდებზე მუშაობა ყველა პოლიტიკურ ორიენტაციას ახასიათებს, მათ შორის, ახლა რომ ვლაპარაკობთ ულტრალიბერალების პოლიტიკურ გავლენებზე, ისინიც ახალგაზრდობაზე იღებენ ორიენტაციას და ამიტომ სტუდენტური მოძრაობები, როგორც წესი, ულტრალიბერალურია.

### ხელოვან ადამიანებს რატომ უჩნდებათ ცდუნება, ემსახურონ პოლიტიკოსებს და, მით უმეტეს, მწამებელთა პარტიას — ნაცებს? ხელოვნება ხომ, წესით, ჯალათებისგან შორს უნდა იყოს?

**– სააკაშვილიც ახალგაზრდებზე მუშაობდა, „პატრიოტული ბანაკები“ შეუქმნა, მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდებით არ შემოიფარგლებოდა, მუხრან მაჭავარიანსაც ეწვია საჩხერეში, მართალია, ავტორის თვალწინ მისი ლექსი კარგა გვარიანად დაამახინჯა, მაგრამ მის „განაცებასაც“ აპირებდა, რაზეც პოეტმა უარი შეუთვალა. მუხრან მაჭავარიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი „განაცება“ მიშამ ვერ მოახერხა, წითელი ინტელიგენციისთვის დამახასიათებელი პირფერობა მუხრან მაჭავარიანმა არ იკადრა და შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა შეცბუნებული სააკაშვილი – „ხალხი ცოდოა, მიშა“, ანუ გააგებინა, რომ მიშას მიერ დადგმული ხელოვნური ბედნიერება ადამიანების უბედურებაზე იყო აგებული. ეს იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო. რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, ინტელიგენციას უყვარს თავის მოქონება, პატივისცემა და კვარცხლბეკზე აყვანა, მაგრამ დაჯარიმებების წყებამ, ალბათ, მასზეც იმოქმედა.**

– ალბათ, პაატა ბურჭულაძის განაწყენების ერთ-ერთი ფაქტორი დაჯარიმებაც იყო. გარდა ამისა, თვითონაც აღნიშნა, რომ მას ოპერის თეატრის შენობა არ დაუთმეს იუბილესთან დაკავშირებით. ეს ხალხი პატივსაა შეჩვეული. ვინც პატივისცემით აღარ მოექცევა, მერე იმათზე ბრაზობენ.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**



„საქართველოს ხსნა დევს ინტეგრაციული პროცესების სიბრტყეზე, მაგრამ რეალური ინტეგრაციის შესაძლებლობა ჩვენთვის არსებობს მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში“, – ამის შესახებ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე საუბრობს. მისი თქმით, ქართული სახელმწიფოს ორგანული მთლიანობის აღდგენა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების ერთიან პროცესთან ასოცირდება და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რეგიონული სივრცის ერთიანობის მარეგულირებელი ინსტიტუციური სისტემის შექმნას მოითხოვს.

როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი და როგორ დავუბრუნდეთ ჩვენს ისტორიულ ოჯახს, სამხრეთ კავკასიას, ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხს ინტერვიუდან შეიტყობთ.

# ზურაბ ხონელიძე: ყველა უბედურების სათავე ჩვენ ვართ, რადგან დღევანდელი დღე ჩვენ შევქმენით!..

- **გადავიტანოთ სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში!**
- **ქვეყნის საგარეო ორიენტირს მისი ისტორიული აუცილებლობა განსაზღვრავს!**

**– ბატონო ზურაბ, აფხაზეთის დაკარგვიდან თითქმის 32 წელი გავიდა და, ფაქტობრივად, ურთიერთშერიგებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯიც არ ჩანს. ამ გადმოსახედიდან როგორ გესახებათ, არსებობს თუ არა ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარების საშუალება?**

– დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ცვალებად, გლობალიზებულ, გეოპოლიტიკური გარდაქმნების, საერთაშორისო პოლიტიკის რეგიონული ნიშნით დაქსელვის მულტიპოლარულ სამყაროში. ამავე დროს, სახეზეა მემკვიდრეობით მიღებული დროებით გაყოფილი ქართული სახელმწიფო, რომელიც მსოფლმხედველობითი ხასიათის, უმთავრესად, საგარეო ორიენტირთან დაკავშირებული რადიკალიზმის გამო, დამატებითი გამოწვევების წინაშე დგას.




ჩვენ გავურბივართ სიმართლეს და ვნერგავთ სიმართლის თქმის შიშს. ამ ინტერვიუს მიზანი არ არის, რომ საზოგადოებას სიმართლე მოვახვიოთ თავს, მაგრამ მე მინდა ისეთ რამეზე ვისაუბროთ, რომლის გარეშეც სიმართლეს ვერ გავიგებთ და რომლის გარეშეც ჩვენი მცდელობა არ იქნება მიმართული ქვეყნის ერთიანობის აღდგენისკენ!

სტაბილური მშვიდობის უქონელი, გეოპოლიტიკური გარდაქმნების ეპოქა დადგა, მსოფლიო იქცა სამომხმარებლო ბაზრად და დაიწყო ეგზისტენციალური კრიზისი სამყაროში. საქართველო კი ამ სამყაროს ნაწილია. ის, რასაც ჩვენ პოლიტიკურ პროცესს ვეძახით, სინამდვილეში იდეოლოგიზირებული პოლიტიკაა და თვითონ იდეოლოგიაც პოლიტიზირებულია. დღეს ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ძირითადად, ვებრძვით შედეგებს. შედეგთან ბრძოლას კი აზრი არა აქვს, თუ ამ შედეგის წარმოშობის მიზეზი ვერ დავადგინეთ. უნდა ვიაზროვნოთ სახელმწიფოს გადარჩენის პრინციპიდან გამომდინარე, ანუ ჩვენი აზროვნება და მოქმედება უნდა იყოს პრაგმატული!

ჩვენი პირველი რიგის ამოცანა არის ქვეყნის ერთიანობის აღდგენა, მაგრამ რატომ არ ხერხდება ეს?! – კარგად ვიცით, რომ ის პრობლემები და კონფლიქტები, რაც იყო და არის აფხაზეთში და ე.წ. სამხერთ ოსეთში (შიდა ქართლის მთიანეთში), ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური არ არის. ეს იყო პოლიტიკური კონფლიქტი, რომელსაც სისტემურად აღვივებდა საბჭოთა იმპერია და მიმართული იყო საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. როგორც კი საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე დგამდა ნაბიჯებს, იმპერიული ძალების რეაქცია იყო უსწრაფესი და სეპარატისტული მოძრაობა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად აქცია.

ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის მიზეზი არის აფხაზეთი, მაგრამ ასე არ არის! აფხაზეთი არის შედეგი ქართულ-რუსული ურთიერთობების და არა მიზეზი, მაგრამ ამ ურთიერთობის აღდგენა დღეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ რუსეთის ფედერაციაზე. თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ვითარება შეიცვალა, საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე დამკვიდრდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყველა საფუძველი გვაქვს, ჩვენი საგარეო პოლიტიკა ვმართოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების მიხედვით. შესაბამისად, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური კონფლიქტის მართვის სადავეები ჩვენს ხელშია. უნდა გავიგოთ, რომ ერთადერთი ერი, რომელსაც უნდა საქართველოს მთლიანობის აღდგენა, არის ქართველი ერი, დანარჩენი არავინ არ არის დაინტერესებული ამ პრობლემით!

**– როგორც ცნობილია, არც აფხაზები არიან კმაყოფილი და ბედნიერი სამი ათეული წლის წინ განვითარებული მოვლენების შედეგებით. საინტერესოა, ახლა როგორია მათი განწყობა ჩვენი ქვეყნის მიმართ, არ სურთ დაბრუნება?**

– თუ გავაჩენთ საჭიროებას და დავანახებთ აფხაზს ჩვენს აუცილებლობას, დამატებითი სარგებლის მიღებაში, შემდეგ უკვე შეიძლება მათ დაბრუნებაზეც ვისაუბროთ. აფხაზისთვის სარგებელი მისი იდენტობის შენარჩუნებაა, რადგან მისი ფიზიკურად გადარჩენის საკითხი დგას დღეს საფრთხის წინაშე. აფხაზის მიზანი იყო, იმ სივრცის არეალი გაეფართოებინა, რომელიც ქართულ-აფხაზურ სივრცედ არის ცნობილი, და დაეკავებინა ქართული სივრცე, მაგრამ რეალურად მან არათუ ქართული სივრცე დაიკავა და გაიფართოვა, არამედ, თვითონ აფხაზური სივრცეც შეიმცირა, რადგან სივრცე ვერ იტანს სიცარიელეს, აფხაზ ერს კი არ ჰქონდა ის რესურსი, რომ დარჩენილი სივრცე აეთვისებინა. ეს სივრცე აითვისეს სხვა ხალხებმა, სხვა ერებმა, რომლებსაც მეტი მხარდაჭერა და რესურსი ჰქონდათ და დღეს ამ სივრცეში მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობა არის უკვე უმცირესობაში. ამიტომაც, **როგორც ქართველისთვის არის მიდრეკილი ეს სივრცე კვდომისკენ, ასევეა აფხაზისთვის!**

**უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს არჩევანის გაკეთების უფლება არა აქვს, არჩევანი არის ფუფუნება. ვინ მოგცა შენ ამის ფუფუნება?! – არ გადაიხარო, გადაიტანე სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში! – ამას ვამბობ მე 1993 წლიდან!**

ამ მიწას ჰყავს ორი პატრონი: ქართველი და აფხაზი. თუ აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობა დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობს, ეს იმიტომ, რომ მას ყველგან „ეცხოვრება“, რადგან საქართველო მისი სამშობლოა. აფხაზს კი აფხაზეთის გარდა, სხვა სამშობლო არა აქვს. აფხაზი საერთოდ უსამშობლოდ რჩება. მისი გადარჩენის, იდენტობის შენარჩუნების, ფიზიკური განადგურებისგან ხსნის ერთადერთი გზა არის კვლავ რეინტეგრაცია ქართულ სივრცეში. თუმცა, ეს ყველაფერი მათ, ჩვენ უნდა დავანახოთ!

დღეს, როცა ქვეყნის მთლიანობის აღდგენა გვინდა, უნდა გავიაზროთ, რომ იმდენი შეცდომა იქნა დაშვებული და ისეთი არასწორი გზით განვავითარეთ, წლების განმავლობაში, ურთიერთობების დარეგულირების პროცესი, რომ მოვახდინეთ პრობლემის ფორმალური ინტერნაციონალიზაცია. მე მადლიერი ვარ იმ ქვეყნების, რომლებიც ჩართული იყვნენ სამშვიდობო მისიებში, მაგრამ ისინი ჩვენს გასაკეთებელს ვერ გააკეთებენ. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც შემოდის ამ პროცესში, შემოდის უპირველესად, პირადი ინეტრესებიდან გამომდინარე.

**– კონკრეტულად, რას გულისხმობთ ფორმალურ ინტერნაციონალიზაციაში?**

– ერთხელ, როცა კელი დეგნანს ვესაუბრე, გაკვირვება გამოხატა და მკითხა, რატომ არის ქართულ საზოგადოებაში გაორებული დამოკიდებულება ამერიკის ხელისუფლებისადმი? – მართლაც, ამერიკის მხრიდან საქართველოს ჰქონდა უზარმაზარი დახმარება, მათ შორის, კონფლიქტური სიტუაციების დროს. პირველი ომის დასრულების შემდეგ აფხაზეთში, რომელიც 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა, აშშ-ის ინიციატივით შეიქმნა გაერო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფი. სხვა სახელმწიფო ამას ვერ გააკეთებდა, იმიტომ, რომ ამდენი ძალა და გავლენა სხვას არავის ჰქონდა. შეიქმნა ფორმატი, სადაც გაერთიანდნენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები. აშშ-იდან შემოვიდა უზარმაზარი დახმარება, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სახით... ეს იყო ჰუმანიტარული დახმარება, რაც ძირითადად, დევნილ მოსახლეობას და დაზარალებული რეგიონების აღდგენას უნდა მოხმარებოდა. თუმცა, ეს მხარდაჭერა არ მომსახურებია კონფლიქტის დარეგულირებას და მისი დადებითი შედეგები არ ასახულა მოსახლეობაზე. ის მოხმარდა რეჟიმს. ეს მხარდაჭერა გახდა რეჟიმის შენარჩუნების და რეჟიმის ძალაუფლების გახანგრძლივების საფუძველი. საზოგადოების თვალში, მსოფლიოს გაერთიანება კონფლიქტის გარშემო, დაუკავშირდა საქართველოში მოქმედი ხელისუფალის, ედუარდ შევარდნაძის იმიჯს. ამ დროს საშინაო პრობლემა ფორმალურად იქცა საგარეო პრობლემად. რაც შეიძლებოდა შიგნით მოგვეგვარებინა, გავიტანეთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ და





# აქტუალური ინტერვიუ

საქართველოს რესპუბლიკა

იმ ქვეყნებს „ჩამოვკიდეთ“, რომლებსაც თავიანთი ინტერესები აქვთ და ამ ინტერესებით შემოდიან რეგიონში.

მეორე შემთხვევა, ისევ ამერიკასთან დაკავშირებით, იყო აგვისტოს ომი, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. კარგად გვახსოვს იმხანადაც ამერიკის მხარდაჭერა და თანადგომა როგორ გამოიხატა. გვახსოვს ჟენევის ფორმატი და მოლაპარაკებების 60-მდე რაუნდი... 5 მილიარდამდე დახმარება შემოვიდა მაშინ ქვეყანაში. თუმცა, მე, როგორც ქართველი, უკმაყოფილო ვარ იმით, რომ არც ეს თანხა და არც ფორმატი კონფლიქტის დარეგულირების ხელშემწყობი არ აღმოჩნდა და მოხმარდა ისევ და ისევ რეჟიმს, – **ამჯერად სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნებას!** თუ პირველ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობამ, ედუარდ შევარდნაძეს შეუნარჩუნა რეჟიმი და გაუხანგრძლივა ძალაუფლება, ანუ ხალხის ინტერესისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ იმოქმედა, ახლა უკვე სააკაშვილს მიმართ გამოიყენეს იგივე მეთოდი, ასევე საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ! ასე რომ, მათ არა ხალხის დაკვეთა, არამედ ხელისუფლებების თხოვნა შეასრულეს! ეს არის ფორმალური ინტერნაციონალიზაცია.

90-იან წლებში ჩვენ საქართველოს ერთიანი სივრციდან ამოვაგდეთ აფხაზეთი. შემდგომ უკვე, 2008 წელს, ერთიანი სივრციდან ამოვაგდეთ ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რითაც მთლიანად საქართველო ამოვაგდეთ რეგიონის კონტექსტიდან!

რეალურად კი, არ არსებობს ცნება „სამხრეთ ოსეთი“. ხშირად ვახსენებთ „სამაჩაბლოს“, თუმცა სამაჩაბლო სულ 3-4 სოფელია, ანუ იმისი ნაწილი, რაც ჩვენ დავკარგეთ. 2008 წელს ჩვენ დავკარგეთ შიდა ქართლის მთიანეთი.

**– როგორც აღნიშნეთ, უცხო ქვეყნებისთვის რომ არ „ჩამოგვეკიდა“ ეს ტვირთი, ჩვენი ქვეყანა მარტო როგორ გაუმკლავდებოდა ასეთ გამოწვევებს?**

– ისე გაუმკლავდებოდა, როგორც ამის შემდეგ უნდა გაუმკლავდეს! არ მინდა ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს პერიოდი, 32 წელი იმის მანიშნებელია, რომ პრობლემა არის მოუგვარებელი! – არა! ეს არის იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ მივდივართ არასწორი გზით და ვცილდებით პრობლემის დარეგულირების შესაძლებლობებს. არსებობს თუ არა გზა? – არსებობს გზა და ეს გზა არ არის დაფარული – ეს ჩვენ ვართ დაფარული და ჩვენ ვერ ვხედავთ მას!

**მსოფლიოს მართავს ერთი ფაქტორი, ეს არის დამატებითი ინტერესი. პოლიტიკის მთავარი რეგულატორი არის ინტერესი. მეტი არაფერი. ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ჩვენ არ გვესმის, ვის რა ინტერესი აქვს ქართული სახელმწიფოს მიმართ, რით არის ეს განპირობებული და არსებობს თუ არა შესაძლებლობა, რომ ინტერესების თანხვედრა მოხდეს!**

ზოგადად, ამოცანას აქვს ერთი სწორი პასუხი, თუმცა, ის შეიძლება სხვადასხვა ხერხით მიიღო. ჩვენ რა ამოცანის წინაშეც ვდგავართ, ის უკვე უჩვენოდ ამოხსნეს და პასუხიც მიღებულია, რომელიც ჩვენ არ გვაწყობს. თუმცა, ჩვენ მაინც ჯიუტად დავდივართ ამ ამოცანით ჟენევაში, ბრიუსელში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ჩუმად მოსკოვშიც... და ვითხოვთ, ამოგვიხსნან ამოცანა, იმ იმედით, რომ იქნებ სხვა პასუხი მივიღოთ, მაგრამ ვერ ვხვდებით, რომ ამ ამოცანას სხვა პასუხი არა აქვს! არ შეიძლება, სხვა პასუხი ჰქონდეს! არსებობს პასუხის შეცვლის ერთადერთი გზა – როცა იცვლება ამოცანის პირობა, ანუ როცა მოცემულობა იცვლება. ჩვენი ქვეყნის გამთლიანება არის საერთო რეგიონული პრობლემა, რომელიც გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ რეგიონის კონტექსტში!

არსებული მდგომარეობის შეცვლა მოითხოვს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებას: საქართველო, როგორც შავი ზღვის აუზის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, კავკასიური სინთეზის ქვეყანა, წარმოადგენს არამხოლოდ ქართულ, არამედ, სამხრეთ კავკასიური და ზოგადად, კავკასიური სივრცის შემადგენელ ნაწილს. მისდამი ინტერესი რეგიონული სივრცითი განზომილებით არის განპირობებული. ეს გარემოება არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ქვეყანამ, სხვა გავლენიანი ძალის ცენტრების ნების საწინააღმდეგოდ, აღიდგინოს ორგანული მთლიანობა.

ჩვენს სამოქმედო არეალად უნდა განვიხილოთ სამხრეთ კავკასია. მიდგომა გამორიცხავს რეგიონში რომელიმე ძალის დომინირებას და ქართული სივრცისადმი გარე ძალების ინტერესსაც.









ქვეყნის გარეთ საქართველოს რეგიონული სივრცით პოზიციონირება მოითხოვს ქვეყნის შიგნით მოვლენების დინამიკის შეცვლასა და საერთო ეროვნული პროცესის შექმნას. აღნიშნულ მიზანს ემსახურება იდეა, რომელიც შეძლებს ერის, საზოგადოების, განსაკუთრებით ყველაზე მოტივირებული და ჯანსაღი ნაწილის, სტუდენტი-ახალგაზრდობის კონსოლიდაციას.

**– კონკრეტულად რა პირად სარგებელს ელიან ამ პატარა ქვეყნისგან მსოფლიოს გიგანტი სახელმწიფოები, რა ინტერესი აქვთ საქართველოს მიმართ?**

**– საქართველოს განიხილავენ რამდენიმე კონტექსტში: ძირითადი ფაქტორი არის, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მეორე, – ჩვენი გამოყენების ფაქტორი რუსეთის წინააღმდეგ მექანიზმად და მესამე, რაც ბოლო პერიოდში დაემატა და ანაკლიის პორტის თემამ წამოსწია, ეს არის ჩინეთის შეკავების ფაქტორი.**

ქვეყნის გეოპოლიტიკა არის ყველაფრის განმსაზღვრელი. საქართველოს ხსნა დევს ინტეგრაციული პროცესების სიბრტყეზე, მაგრამ რეალური ინტეგრაციის შესაძლებლობა ჩვენთვის არსებობს მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში. ჩვენი სამოქმედო არეალი არის სამხრეთ კავკასია – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ჩვენი ქვეყნის გამთლიანება მარტო საქართველოს ინტერესებში კი არა, აზერბაიჯანის და სომხეთის ინტერესებშიც შედის. არ იფიქროთ, რომ სომხურ– აზერბაიჯანული კონფლიქტი დამთავრდა. ტერიტორიული პრობლემა გადაწყდა, მაგრამ კონფლიქტი არ დამთავრებულა. ამ კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა არის ერთიანი რეგიონის კონტექსტში. აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაც ერთიანი რეგიონის კონტექსტშია შესაძლებელი, ცალკე ეს ვერ მოგვარდება. ქართულ სივრცეში ამერიკული ინტერესი როგორ წარმოგიდგენიათ? ჩინეთის ინტერესი, თურქეთის, ირანის და ა. შ... არ ჰყოფნის ამას სივრცე! საქართველოში ეს არ გამოვა! ამიტომ ან აქეთ უნდა გადაიხარო, ან იქით და ნებისმიერი გადახრა, ქართული სახელმწიფოსთვის, არის დამღუპველი. უნდა გავერკვეთ, რა მიზანს ვისახავთ, რა გვინდა! უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს არჩევანის გაკეთების უფლება არა აქვს, არჩევანი არის ფუფუნება. ვინ მოგცა შენ ამის ფუფუნება?! – არ გადაიხარო, გადაიტანე სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში! – ამას ვამბობ მე 1993 წლიდან!

როგორც აღვნიშნე, ჩვენი სახლი არის სამხრეთ კავკასია. როგორც სამოქმედო არეალი, ჩვენ მხოლოდ სამხრეთ კავკასია უნდა ავიღოთ, იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასია არის რუსეთის ფედერაციის ნაწილი. შენ მასთან ურთიერთობას ვერ დაალაგებ, თუ მისი ნაწილი საკუთარი სივრცის ნაწილად აქციე, ან ამის მცდელობა გექნა, მაგრამ თუ შენ არ იქნები პრობლემის შემქმნელი ჩრდილოეთ კავკასიისთვის და გააჩენ დამატებით სარგებელს რუსეთისთვის, ეს პრობლემა მოგვარდება! რუსეთი უკან კი არ წაიღებს აღიარებას, მაგრამ მისი აღიარება იყო პასუხი იმ ამოცანაზე, რომლის წინაშეც მიშა სააკაშვილმა დააყენა ისინი! თუ ჩვენ მოცემულობას შევცვლით, მაშინ ახალ მოცემულობას ექნება ახალი პასუხი. ოღონდ წინასწარ უნდა განვსაზღვროთ, რა პასუხზე გავდივართ ამ ახალი მოცემულობით. ამ შემთხვევაში, რუსეთის (და არა მხოლოდ მისი) დამოკიდებულება იქნება **„გააერთიანე და მეტი სარგებელი მიიღე“** და არა – **„დაყავი და იბატონე“!**

**– როგორ ფიქრობთ, ვიდრე ვლადიმერ პუტინი იქნება რუსეთის ფედერაციის სათავეში, არის ჩვენი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობა? საჭიროდ მიგაჩნიათ მათთან დიალოგი?**

– არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება რუსეთის ფედერაციის სათავეში. რუსეთი არის ისეთი, როგორიც არის, ის არ შეიცვლება! რუსეთის შეცვლას კი არ უნდა ველოდოთ, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულება შევცვალოთ ჩვენს სასარგებლოდ, რეგიონული პოლიტიკის კონტექსტით! ჩვენ რუსეთს არ ველაპარაკებით და, რა თქმა უნდა, უნდა ველაპარაკოთ მას. მე არ ვამბობ, რომ უნდა აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა. **სანამ ქვეყნის ერთიანობა არ აღდგება, დიპლომატიური ურთიერთობა არ უნდა აღდგეს. თუ ეს ტაქტიკაა, მაშინ ყველა ნაბიჯი უნდა იყოს გათვლილი, არა ისე, როგორც რუსულ პოლიტიკას სჩვევია: „შენ იმოქმედე, გადადგი ნაბიჯი, „а там посмотрим“!** – ასე არ გამოვა! ერთი-ერთზე ყველასთან დავმარცხდებით, მაგრამ სამს ერთად ვერ დაგვამარცხებენ! გლობალიზაცია რეგიონალიზაციისაკენ გვიბიძგებს და ზურგს რატომ ვაქცევთ ამ შესაძლებლობას?! უნდა გავზარდოთ სამოქმედო არეალი და უნდა გვახსოვდეს, რომ საგარეო ორიენტირს ქვეყანა არ განსაზღვრავს, ამას განსაზღვრავს ისტორიული აუცილებლობა! საქართველოსთვის, აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის ამ აუცილებლობას ქმნიან გეოპოლიტიკური ძალის ცენტრები.

ყველა უბედრების სათავე ჩვენ ვართ. რატომ? – დღევანდელი დღე ჩვენ შევქმენით, როცა ქვეყანას განვუსაზღვრეთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი და ზარ-ზეიმით ვიზეიმეთ ეს; როცა ვამბობთ, რომ ამ ქვეყნის რეალური მისია მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა არის ტრანსკავკასიური დერეფანი; როცა ვამბობთ, რომ უნდა გავაჩინოთ ამ ქვეყნის მიმზიდველობა! – იცით, ეს სამი კომპონენტი რისი მანიშნებელია? ეს არის მანიშნებელი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გავწირეთ მსახურებისთვის! მიმზიდველი თავისთავად არის ჩვენი ქვეყანა და დერეფნის ფუნქციაც აქვს, მაგრამ ეს არ არის ქვეყნის არსის განმსაზღვრელი, ეს მისი შემადგენელი ნაწილია. მიმზიდველობა კი არა, თუ გინდა, რომ შენდამი დამოკიდებულება შეცვალო, უნდა გააჩინო შენი საჭიროება და დაანახო შენი ქვეყნის აუცილებლობა უცხოურ ძალებს, დამატებითი სარგებლის მიღებაში. თან უნდა აჩვენო ამ სარგებლის მიღების ფორმა, სადაც პოლიტიკური თამაშის წესები იქნება დაცული.

საქართველო დერეფანი არ არის, საქართველო არის ხიდი – ხიდი ისტორიების, კულტურების, ცივილიზაციების და ა. შ... საქართველო არის დამაკავშირებელი დასავლეთისა აღმოსავლეთთან. კონტინენტების დამაკავშირებელი ხიდია საქართველო და შენ დაგყავს ეს დერეფნის ფუნქციამდე! როცა საქართველო გეოპოლიტიკის ღერძია, ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ დანამატიც კი არ იქნება საქართველო გეოპოლიტიკის! თუ დერეფანი ხარ, იდენტობას როგორ შეინარჩუნებ?

**– გემახსოვრებათ, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა რამდენიმე თვის წინათ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ჩვენს ოს დებსა და ძმებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ. ბუნებრივია, იგივე იგულისხმებოდა აფხაზებთან მიმართებაშიც...**

– ბატონი ბიძინას განცხადება არასწორად იქნა გაგებული, თუმცა, საბოდიშო ერთმანეთთან ნამდვილად გვაქვს, რადგან აფხაზს ქართველზე ახლობელი დედამიწაზე არავინ ჰყავს, და არც ქართველს ჰყავს ვინმე აფხაზზე ძვირფასი! არსებული მდგომარეობა ამ უახლოეს ხალხებს შორის არ ითხოვს ბოდიშის მოხდას? არ უნდა ვთხოვოთ ერთმანეთს პატიება? არ უნდა მივუტევოთ ერთმანეთს? ჩვენს ადგილს ხომ ერთმანეთისთვის ვერავინ ჩაანაცვლებს! თუ გვინდა იდენტობის შენარჩუნება და განვითარება, ჩვენი ძალა არის ერთობაში... თუმცა „ბოდიში“ საკმარისი არ არის, აუცილებელია მოქმედება. ბევრი მაგალითის მოტანა შეგვიძლია, რაც აფხაზმა ჩაიდინა ქართველის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ არ გვეპატიება ის, რაც აფხაზს ეპატიება! ჩვენ დიდი ვართ – მხოლოდ რაოდენობრივად კი არა, ჩვენი მენტალობა, ჩვენი განათლება, კულტურა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სხვას თავი გავუტოლოთ! ჩვენ უნდა ვიყოთ მათთვის მაგალითის მიმცემი, უნდა გვახსოვდეს, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და არც არაფერია მარადიული!

**– ბატონო ზურაბ, მინდა, რამდენიმე სიტყვით თქვენი წიგნის შესახებაც გვიამბოთ. „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ 12 ენაზე ითარგმნა. თქვენ მიერ წარმოდგენილი იდეა და ხედვა ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში აღიარეს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ფორმა, დიპლომატიის ახალი სახეობა. ქართველი პოლიტიკოსები თუ ინტერესდებიან თქვენი მოსაზრებით, თუ იზიარებენ თქვენს იდეებს?**

– როგორ გითხრათ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ჯერ კიდევ ველოდები რეაგირებას, რაც შეეხება წიგნში წარმოდგენილ იდეა-პროექტს, – მშვიდობის ქართულ პარადიგმას, მას აქვს ორგანიზატორული და ინტელექტუალური პოტენციალი, იქცეს იმ ინტეგრაციულ კონცეპტად, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი რეგულატორის – დამატებითი ინტერესებისა და მსოფლიო მომწესრიგებელ ძალთა ბალანსის დაცვით გააჩენს შესაძლებლობებს:

ა) სამი სახელმწიფოს: საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთისაგან შემდგარი ერთიანი გეოპოლიტიკური სამხრეთ კავკასიური სივრცე იქცეს ეროვნული, რეგიონული, გლობალური ინტერესების მორიგების თვისებრივად ახალ სივრცე-არენად, შეასრულოს ევროპისა და აზიის კონტინენტებს შორის სამშვიდობო ხიდის ფუნქცია.

ბ) ეფექტური გეოპოლიტიკური პოზიციონირებით, საქართველომ აღადგინოს ორგანული მთლიანობა, შეინარჩუნოს იდენტობა, უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და იქცეს სრულფასოვან მულტიეთნიკურ ქართულ სახელმწიფოდ.

გ) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით) იქცეს რეგიონში მშვიდობისა და მსოფლიოში სამშვიდობო განათლების საუნივერსიტეტო ჰაბად!

ქვეყნის უნიკალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა ხელისუფალის დამსახურება არ არის. ეს არის განგების ნება! და რა გზით უნდა იაროს საქართველომ? – ჰარმონიაში უნდა მოვიდეს ბუნებასთან! ჩვენი მთავარი ამოცანაა, გავიგოთ განგების ნებით რატომ აღმოჩნდა საქართველო ამ სივრცეში; ამოვხსნათ, რაში მდგომარეობს ჩვენი მისია და ვემსახუროთ ამ მისიის რეალიზაციას. ამ შემთხვევაში ყველა იპოვის თავის სარგებელს. თუმცა, დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს. ვაღიარებთ, რომ „ცუდ დროში ვცხოვრობთ“, მაგრამ რას ვაკეთებთ მის შესაცვლელად? – არაფერს! ველოდებით „კარგ დროს“ და ვინც კარგ დროს ელოდება, ის ცუდს ახანგრძლივებს. დრო კი არ მოდის, – დრო მიდის, თუ მას დაასწარი, ან ჩამორჩი, წაგებული ხარ, ადეკვატური უნდა ვიყოთ დროსთან მიმართებაში!

ესაუბრებოდა
ნონა ქარქაშაძე



# მეგრელთა საქმე

ალეკო ასლანიშვილი

*აქ ერთი საინტერესო ეპიზოდი მინდა ვუამბო მკითხველს, რომელიც ზემოთქმულს განამტკიცებს.*

*ბატონმა გელა ჩარკვიანმა მიამბო მამამისის კანდიდ ჩარკვიანის ასეთი მოგონება:*

*„1951 წლის 3 ნოემბერს ჩემს კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე.*

*– რა კაცია ბარამია? – ყოველგვარი შესავლის, მოსალმების გარეშე მკითხა სტალინმა.*

*მივხვდი, რომ ეს შემთხვევითი შეკითხვა არ იყო, მის უკან აშკარად რაღაც იმალებოდა. უმალ გადავწყვიტე, არც მწვადი დამეწვა და არც შამფური;*

*– ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ცუდად არ მუშაობს, ამხანაგო სტალინ!*

*– თქვენ ვერ ხედავთ, რა ხდება თქვენ ირგვლივ, ამხანაგო ჩარკვიანო, ბარამია მექრთამე და სახელმწიფო ქონების დამტაცებელია, თქვენ ზურგს უკან ავ საქმეებს აკეთებს. და არა მარტო ის. ცუდად წაგივათ საქმე! – მითხრა მუქარით და ყურმილი დაკიდა.*

*გავშრი. არ ვიცოდი რა მეფიქრა. შემდეგ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე ვიხმე. უმალ მოვიდა. ვუთხარი, ამხანაგმა სტალინმა ბარამიას შესახებ მკითხა-მეთქი. ამ დროს ჩემი მდივანი შემოვიდა შეშფოთებული, უშიშროების სამინისტროდან დარეკეს, სტალინი ტელეფონით რუხაძეს კითხულობსო. რუხაძეს ვუთხარი, აი, ტელეფონი, აქედან ელაპარაკეთ ამხანაგ სტალინს, მე მარტო დაგტოვებთ-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა. რა თქმა უნდა, არ მიკითხავს, რაზე ილაპარაკეს. თვითონ მითხრა, ბარამიას შესახებ მკითხაო. საუბარი არ გაგვიგრძელებია“.*

ამ ეპიზოდით კარგად ჩანს, რომ სტალინს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

* * *

**როცა 1948 წლის 11 იანვარს ავქსენტი რაფავა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი ნიკოლოზ რუხაძე დანიშნეს, როგორც ირკვევა, სსრკ უშიშროების მინისტრთან ვიქტორ აბაკუმოვთან ეს ამბავი შეთანხმებული არ იყო. სავარაუდოა, რომ მისი კანდიდატურა პირადად სტალინის მიერ იყო რეკომენდებული, რომელსაც საქართველოს უშიშროებაში უშუალოდ თავისი კაცი სჭირდებოდა (თუ რატომ, ამაზე – ქვემოთ).**

უშიშროების სამინისტროში მუშაობა კვლავაც ძველი მეთოდით გაგრძელდა. „ცემა 1938 წლის შემდეგაც იყო, როგორც რაფავას, ისე რუხაძის დროს, მაგრამ რუხაძის დროს უფრო „სტოიკას“ იყენებდნენ, უკანასკნელ დროს კი ბორკილებში სვამდნენ, – უჩვენებს 1954 წელს დაკითხვაზე შინაგანი ციხის ყოფილი ზედამხედველი ს. კოვშოვი.

ნიკოლოზ რუხაძე ბელადს პირველად 1951 წლის 16 სექტემბერს წარუდგა წყალტუბოში, სამთავრობო აგარაკზე. მოგვიანებით ის გამოძიებას უამბობს, თუ რაზე ისაუბრეს ამ შეხვედრისას. სტალინს თურმე აინტერესებდა თურქეთის საკითხი, ქართული ემიგრაცია, იყო თუ არა საქართველოში ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და ჰქონდათ თუ არა მათ კავშირი ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებთან. ნ. რუხაძის უარყოფით პასუხზე აღუნიშნავს, რომ საჭირო იყო საქართველოსაც ჰყოლოდა თავისი აგენტები თურქეთში, ირანსა და საფრანგეთში, საამისოდ საქართველომ დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოსო. შემდეგ სტალინს ასეთი რამ უამბია: ბერიამ გვითხრა, თუ როგორ გაუშვა პარიზში დემოკრატიული საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორის ნათესავი (ლაპარაკია ი. ნამიჭეიშვილზე – **ა.ა.**) მის გადმოსაბირებლად. მოხდა კი პირიქით, თვით ემიგრანტებმა დაიბარეს ჩვენი ჯაშუში და ომის დროს აქეთ გადმოგზავნეს (ეს კაცი დაპატიმრების შემდეგ „მოულოდნელად“ გარდაიცვალა უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში 1952 წლის 7 აპრილს – **ა.ა.**).

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში შემონახულია ნ. რუხაძის 1952 წლის 21 მარტით დათარიღებული ცნობა ი. ნამიჭეიშვილზე, **რომლის დაპატიმრებასაც საფუძვლად მან ბელადის ნაამბობი დაუდო. მასში ნათქვამია: ი. ნამიჭეიშვილი არის საბჭოთა კავშირის ცნობილი მტრისა და პარიზში ქართულ ემიგრაციაში ამერიკული დაზვერვის კაცი, ე. გეგეჭკორის ახლო ნათესავი. 1939 წელს ჩვენი ორგანოების მიერ საფრანგეთში გაგზავნილმა ნამიჭეიშვილმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. იგი მაშინვე გადაიბირა ე. გეგეჭკორმა უცხოეთის ქვეყნების სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობისთვის. თვით ჯაშუშურ, გამცემლურ საქმიანობაზე ი. ნამიჭეიშვილმა უჩვენა, რომ საფრანგეთიდან გამგზავრების წინ მისმა გადამბირებელმა ევგენი გეგეჭკორმა მისცა დავალება, შეეკრიბა ჯაშუშური ცნობები შემდეგ საკითხებზე: კოლმეურნეობათა რენტაბელობა საქართველოში, კოლმეურნეთა მიერ მიღებული საშუალო პროდუქცია, საკმარისია თუ არა ეს პროდუქცია, რამდენად შეადუღაბა გლეხობა საკოლმეურნეო წყობამ, არიან თუ არა მათ შორის უკმაყოფილო ელემენტები, რა დამოკიდებულება აქვს ქალაქელ ინტელიგენტს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მის მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, არიან თუ არა უკმაყოფილონი და ამ უკმაყოფილების საფუძველი, რეპრესიები ინტელიგენციას შორის.**

**საზღვარგარეთთან კავშირის ხერხებსა და არხებზე ნამიჭეიშვილმა ჩვენება ჯერჯერობით არ მოგვცა.**

**ნამიჭეიშვილის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს მისი ე. გეგეჭკორის დაზვერვის დავალებით მტრული საქმიანობის გამოსააშკარავებლად“.**

სტალინმა ე. გეგეჭკორის მიერ ი. ნამიჭეიშვილის გადაბირების შესახებ „მეგრელთა საქმემდე“ იცოდა. მას გეგეჭკორ-ნამიჭეიშვილის ჯაშუშური ხაზი ისეთი „საწებლით“ მიაწოდეს, რომ ბელადმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ ამბავს, ერთობ უხვ მხილებასა და ბევრი გვარის ამოტივტივებას ელოდა. მაგრამ უშიშროების ორგანოებმა, დიდი ცდის მიუხედავად, ხმაურიანი საქმის გამოწურვა ვერ მოახერხეს და ბელადის იმედგაცრუების გამო თავის მართლების მიზნით არშემდგარი ჯაშუშის „მოულოდნელი“ გარდაცვალების ინსცენირება მოაწყვეს.

ისე მოხდა, რომ ი. სტალინთან წყალტუბოში ლაპარაკის შესახებ (საზღვარგარეთ საქართველოს აგენტურის ყოლის მიზანშეწონილობაზე) ნ. რუხაძემ წამოაყრანტალა (წერს, სიმთვრალის გამოო) საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზაქარია ჩხუბიანიშვილის ოჯახში სსრკ უშიშროების მინისტრის მოადგილის ლავრენტი ცანავასა (ჯანჯღავა) და რუმინეთში სსრკ ელჩის სერიოჟა ქავთარაძის პატივსაცემად გაშლილ სუფრაზე. იქ მყოფმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა კონსტანტინე ბზიავამ უმალ პატაკი ჩააჭიკჭიკა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ს. იგნატიევთან აფრინა. ს. იგნატიევმა იგი, ბუნებრივია, სტალინს მიურბენინა... სტალინმა პატაკი აკაკი მგელაძეს გადასცა, ასეთი რამ არასოდეს მითქვამს, თბილისში ყოფნისას მიდი ნ. რუხაძესთან, ეს პატაკი მარტოს წააკითხე, კარგად დააკვირდი, როგორ იმოქმედებს და მერე მის თვალწინ დაწვიო.

აკაკი მგელაძემ დავალება შეასრულა და სტალინს უამბო, თუ როგორ დაპატარავდა, ჩაიფერფლა და წახდა გენერალ-ლეიტენანტი.

ნ. რუხაძემ სათანადოდ დააფასა, რომ ბელადმა აპატია უპატიებელი შეცდომა... ასე „ჩაისვა ჯიბეში“ ი. სტალინმა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე, ასე აქცია იგი თავის სათამაშო თოჯინად.



ორი დიდი ქართველის დაპირისპირება

ამ ეპიზოდს თითქმის იდენტურად აღწერენ აკაკი მგელაძე თავის მემუარებში და ნიკოლოზ რუხაძე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, რომელიც მწერალ კ. სტოლიაროვს მოჰყავს თავის წიგნში „მართლმსაჯულობანას თამაში“ (მოსკოვი, 2000 წ.). ამდენად, იგი უტყუარია.

წეღან ი. სტალინთან ნ. რუხაძის პირველი შეხვედრა გავიხსენეთ. იმ საუბრის დროს ბელადს არც ერთი სიტყვა შემთხვევით არ უთქვამს: საქართველოში ანტისაბჭოთა ორგანიზაციების არსებობის შესაძლებლობა და მათი სავარაუდო კავშირი ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებთან, ევგენი გეგეჭკორი, აქედან შეგზავნილი მისი ნათესავის გადაბირება პარიზში „ახლობლურად“ განდობილი: **„ბერია თვლის, რომ ქართველთა შორის ყველაზე ნიჭიერნი და ჭკვიანები მეგრელები არიან და ყოველთვის ცდილობს ისინი შემოგვტენოს“.**

ეს ნოყიერ ნიადაგში პირველი თესლის ჩაგდება იყო, რომელიც მალე გაღვივდა და ამოჯეჯილდა.

ამრიგად, „მეგრელთა საქმის“ იდეა ნ. რუხაძისგან არ წამოსულა. იგი, უბრალოდ, ამ საქმის ტექნიკური აღმსრულებელი იყო...



ნიკოლოზ რუხაძე და კანდიდ ჩარკვიანი

სავარაუდოა, რომ ნ. რუხაძე მოეწონა ი. სტალინს, უფრო სწორად, მოეჩვენა, რომ გამოადგებოდა იმ დიდი საქმისათვის, რომელიც წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული.

კირილ სტოლიაროვს თავის წიგნში მოჰყავს ასეთი ეპიზოდი:

***„წყალტუბოდან სტალინი ახალ ათონში გადავიდა.***

***1951 წლის 3 ნოემბერს იგი ტე-***

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47-48, 50-51, 54-55



საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ პარტიული მოღვაწე. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. (1942) ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის სამმართველოს სამხედრო კომისარი, უფროსი ბატალიონური კომისარი, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი აკაკი მგელაძე (მარცხნივ) სვანეთში.

*ლეფონით დაუკავშირდა რუხაძეს და პირდაპირ, ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე ჰკითხა:*

*– უთხარით თუ არა თქვენ მგელაძეს, რომ მეორე მდივანი ბარამია ხელს აფარებდა სოხუმის მექრთამე პროკურორს გვასალიას?*

*– დიახ, ამხანაგო სტალინ! მე სოხუმში ყოფნისას მოვახსენე მგელაძეს, რომ გვასალიას მფარველობს ბარამია. ეს იყო ერთი წლის წინათ.*

*– მერედა, ყველაფერი რატომ არ მომახსენეთ წყალტუბოში ყოფნისას? შეგეშინდათ?*

*– თავიდან ამომივარდა, ამხანაგო სტალინ!*

*– მე თქვენ მშიშარა კაცად არ გთვლით, ყველაფერი დაწვრილებით დაწერეთ, რაც იცით ამ საქმის შესახებ და გამომიგზავნეთ.*

*სტალინმა ყურმილი დაკიდა. კაკანათი ამუშავდა, რუხაძემ სასწრაფოდ დაწერა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მხილებული იყვნენ ბარამია, გვასალია, ადვოკატები ალშიბაია და დოლიძე, ყოფილი პროკურორი ზაქარაია. ისინი მხილებული იყვნენ მექრთამეობაში, ხოლო ცეკას მეორე მდივანი ბარამია, როგორც მეგრელი, ყველას ხელის დამფარებლობაში.*

*რუხაძემ ეს მოხსენებითი ბარათი პირადად მიართვა ბელადს".*

არ ვიცი, რომელი წყაროს (ალბათ ნ. რუხაძის ჩვენების) საფუძველზე წარიმართა: 1951 წ. შემოდგომაზე საქართველოში დასასვენებლად მყოფმა სტალინმა ნ. რუხაძეს დაავალა, გაერკვია სოხუმელი მოხელეების მექრთამეობის საქმე, რომელთაც თითქოს მფარველობდა საქართველოს კომპარტიის მეორე მდივანი მიხა ბარამია. ამ მექრთამეთა უმრავლესობა, ისევე, როგორც თავად ბარამია, მეგრელები იყვნენ. რუხაძემ დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი საქმეს. მან დააპატიმრა რამდენიმე მექრთამე(?), ხოლო სანამ გამოძიება დაიწყებოდა, საფუძვლიანი ანგარიში შეადგინა და თავად ჩაუტანა სტალინს მთავრობის აგარაკზე.

ბელადის რეაქცია ელვისებური გამოდგა. აგარაკზევე შეადგინა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (იგი, როგორც იცით, 1951 წ. 9 ნოემბრით არის დათარიღებული). ეს დოკუმენტი მოსკოვის გავლით, დაუყოვნებლივ გადმოიგზავნა თბილისში და საქართველოს უმაღლეს მოხელეთა შორის დაჭერები დაიწყო. დაპატიმრებულთაგან ბევრისთვის, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სრულიად დასაბუთებულად წაეყენებინათ ბრალი, როგორც მექრთამეობაში, ისე დატაცებაში (რაც კეთდებოდა კიდეც), მაგრამ რუხაძე და მისი ხელქვეითები ხელმძღვანელობდნენ არა იმდენად „კანონიერების დაცვის იდეალებით", რამდენადაც აშკარა პოლიტიკური შეკვეთით – გაეყარათ მეგრელები საქართველოს პარტიულ-ადმინისტრაციული ელიტიდან. აქედან, ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლებოდა დაგესკვნათ, რომ საბოლოო ანგარიშით მთელი ეს კამპანია ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული.

* * *

**ყველაფრის თავი და თავი აკაკი მგელაძის მიერ ი. სტალინისთვის მიწოდებული ინფორმაციები რომ იყო, ლ. ბერიამ კარგად იცოდა.**

ი. სტალინის დაკრძალვის მეორე დღეს აკაკი მგელაძეს ლავრენტიმ ნამდვილი დაკითხვა მოუწყო. აი, მისი ახსნა-განმარტება.

**– კითხვა: თქვენ სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის ნოემბრის დადგენილების მიღების პირველწყაროს წარმოადგენთ. თქვენ ტენდენციურ ინფორმაციებს აწვდით ამხ. სტალინს და ამ დროს ვიღაცებს პირად ანგარიშს უსწორდებით.**

**პასუხი:** კატეგორიულად უარვყოფ, რომ მე სკპ(ბ) ცკ-ის ნოემბრის დადგენილების მიღების პირველწყარო ვარ. ამ დადგენილებაში მთავარი იყო ანტიპარტიული, მტრული ჯგუფის არსებობა ბარამიას ხელმძღვანელობით. მე კი ამხ. სტალინთან საუბარი მქონდა მხოლოდ მექრთამეობაზე და საქართველოს ცალკეული პროვინციების შეფობაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკების ერთი ნაწილის მიერ. ამასთან, საყურადღებოა, რომ მე მექრთამეობის ფაქტები მოვუყვანე არა საქართველოს სხვა კუთხეებიდან, არამედ აფხაზეთიდან, სადაც საოლქო კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი. ამხ. სტალინს ვესაუბრებოდი სხვა საკითხებზეც. ვუამბე კურორტ წყალტუბოზე, თუმცა ეს არ შედიოდა ჩემს კომპეტენციაში, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც წყალტუბოში დასასვენებლად ყოფნისას მოვინახულე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე, სადაც რამდენჯერმე ვიყავი, სამგორის სარწყავი სისტემის და სიონის წყალსაცავის მნიშვნელობაზე, ჰიდროელექტროსადგურების, მეტროს მშენებლობის მიმდინარეობაზე, თბილისის კეთილმოწყობაზე და სხვა.

სტალინი ჩემთან საუბრობდა ამ საკითხებზე 1945 წლიდან დაწყებული, როცა ყოველწლიურად ისვენებდა შავი ზღვის სანაპიროზე. თქვენ დამადანაშაულეთ იმაში, რომ მე სოხუმიდან მთელ საქართველოს ვხელმძღვანელობდი. მაგრამ უკვე მოგახსენეთ, როგორც მოხდა ეს.

(გაგრძელება იქნება)

# ამერიკული ბრედბერი მსოფლიოში ყველაზე ჩაკეტილი ქალაქია, სადაც გინებაც კი აკრძალულია!

**ლოს-ანჯელესის აღმოსავლეთით მდებარეობს ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი, მაგრამ ამის შესახებ თითქმის არავის სმენია.**

**ეს ხდება მიზანმიმართულად, რადგან მილიონერებსა და მილიარდერებს, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქში, არ სურთ, ვინმემ იცოდეს მათი ანკლავის შესახებ სან გაბრიელის ველზე, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, დაახლოებით 2 მილიონი ადამიანით.**

**ქალაქი ბრედბერი კალიფორნიაში ნამდვილად არსებობს, თუმცა საშუალო სტატისტიკური ადამიანისთვის ქალაქში სტუმრობა საკმაოდ მოსაწყენია. არ არის მაღაზიები და თითქმის არც ერთი ტროტუარი, გასასეირნებლად. SFGate იუწყება, რომ ბრედბერი თითქმის მთლიანად შედგება დახურული თემებისა და სახლის მესაკუთრეთა ასოციაციებისგან.**

**თუ უკვე არ გყავს იქ მცხოვრები მეგობარი, არ უნდა წახვიდე. ეს იმიტომ, რომ ქალაქში მოქმედებს განკარგულება, რომელიც უკრძალავს ხალხს შესასვლელ კართან მიახლოებას და ნებართვის გარეშე დაკაკუნებას. ქალაქი იმდენად დაკეტილია, რომ მის საზღვრებთან მიმდებარე საზოგადოებრივი გზების უმეტესობა ან ჩიხშია, ან პირდაპირ მიდის მაღალ, დაცულ კარიბჭესთან, რომლებზეც წარწერებია: Royal Oaks da Bradbury Estates.**




ლანდშაფტის მოწყობა ასევე ერთგვარი გზავნილია, რომ უცხო პირებს არ მიესალმებიან, რადგან სახლების უმეტესობა იმალება მაღალი ღობეებისა და ხშირი ხეების მიღმა.

საგუშაგოებისა და ხეების მიღმა განთავსებულია გიგანტური სასახლეები ულამაზესი აუზებით და ლამაზად მოვლილი გაზონებით. და რადგან ისინი კერძო გზებზე იმყოფებიან, Google Street View-ით თვალთვალი არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ, ჩვეულებრივმა ადამიანებმა უნდა გადახედონ ძვირად ღირებული უძრავი ქონების განცხადებებს, თუ მათ სურთ მიიღონ მეტი ინფორმაცია ბრედბერის შესახებ. მაგალითად, ავიღოთ უძრავი ქონების მაგნატის, დონ აბის ყოფილი სახლი, რომელიც მან თავდაპირველად ააგო თავისთვის და, შემდეგ, ბაზარზე 2012 წელს 78,8 მილიონ დოლარად გამოიტანა.

ძველი ჩამონათვალის მიხედვით, 35,000 კვადრატული ფუტის ქონება, რომელიც მოიცავს მთავარ სახლს და აუზის შენობას, არის ცქრიალა თეთრი შედევრი, რომელიც დგას ბორცვზე, ოკეანის თვალწარმტაცი ხედებით.

ეს არ არის ჩვეულებრივი სასახლე, რადგან მას აქვს 2000-ბოთლიანი ღვინის მარანი, პოკერის ოთახი და 10 მანქანის ავტოფარეხი. ასევე არის უზარმაზარი ჯვრის ფორმის საცურაო აუზი და ტირი, რომელსაც ლუსი ლიუ ხშირად სტუმრობდა, იტყობინება Forbes.

ლოს-ანჯელესის ოლქის შემფასებელი ოფისის ცნობით, ყველა ამ უპირატესობით და მეტით, იგი 2022 წლის დეკემბერში 22,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. ქალაქის დასავლეთით არის Hieu Thai Tran, სუპერმარკეტების ქსელის Shun Fat მფლობელის სახლი, რომელსაც აქვს მაღაზიები კალიფორნიაში, ტეხასში, ნევადასა და ორეგონში.

ქონებას აქვს ოთხი ჩანჩქერი, ჩოგბურთის კორტი. ბრედბერის ბოლოდროინდელი ყველაზე ცნობილი მკვიდრი იყო In-N-Out-ის მფლობელი. ის წლების განმავლობაში ცხოვრობდა 19 000 კვადრატულ მეტრ სახლში, სანამ 2022 წელს გაყიდდა.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი მეგა-სასახლეა, არის უფრო მოკრძალებული საკუთრებაც, რომელიც მაინც იზიდავს მდიდარ ადამიანებს, მაგრამ არა მილიარდერებს. ბრედბერიში სახლის საშუალო ფასი 3,5 მილიონი დოლარია. ქალაქის მცხოვრებლებს ისეთი „დიდი ჯიბეები აქვთ", რომ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი ეწვია ბრედბერის სასახლეს, რათა ჯო ბაიდენისთვის სახსრები შეეგროვებინა, დონალდ ტრამპთან დებატების წარუმატებლობის წინ.

მან ეს გააკეთა იმ მიზეზის გამო, რომ ბაიდენი იყო პირველი დემოკრატი საპრეზიდენტო კანდიდატი 1964 წლის შემდეგ, რომელმაც მოიგო არჩევნები ბრედბერიში და მიიღო ხმათა უმრავლესობა იქ, 2020 წელს. ქალაქს ასევე აქვს სხვა „დრაკონული" რეგულაციები, რომლებიც შექმნილია ნებისმიერი ქცევის შესაჩერებლად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არეულობა მოსახლეობაში.

რეგულაციებში ნათქვამია, რომ **„არც ერთი პირი არ უნდა შევიდეს ქალაქის შიგნით კერძო შენობაში, რაიმე საქონლის, ნივთის, მომსახურების ან სხვა ძვირფასი ნივთების გაყიდვის მიზნით"**. ქალაქის კოდექსში ასევე ნათქვამია: **„არც ერთი პირი არ უნდა იმყოფებოდეს კერძო სახლში ან ქალაქის კერძო საკუთრებაში ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ისე, რომ შეაწუხოს სხვები"**.

უცენზურო სიტყვებიც კი დაუშვებელია საჯარო ადგილებში და საზოგადოებისთვის ღია დაწესებულებებში.

**პოტენციური დარღვევების კიდევ უფრო შესამცირებლად, 18 წლამდე მოზარდებს ეკრძალებათ სწავლის პერიოდში სკოლის გარეთ, საჯარო ადგილებში ყოფნა, თუ მათ თან არ ახლდნენ უფროსები და მშობლებს, არ აქვთ სკოლიდან მოწმობა, რომ ბავშვს აქვს უფლება, იმყოფებოდეს კონკრეტულ ლოკაციაზე. მაგრამ უმეტესწილად, ბრედბერი ინარჩუნებს სოციალური თანმიმდევრობის უნიკალურ ფორმას, რაც შეიძლება მცირე რაოდენობის ადამიანი შეუშვას საკუთარ სახლში...**



# ღმერთო, მოგვმადლე გამრავლების ნიჭი!

## ერის გადარჩენა ქართველთა უპირველესი საზრუნავია!

**ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ ყაველაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, – ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს დემოგრაფიული პრობლემები, ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე, იმ პირობების უზრუნველყოფაზე, რომელსაც პოზიტიური ეფექტი ექნება დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ჩვენი მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. გვჭირდება საფუძვლიანი კვლევა და შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საპატრიარქოს როლი კვლავ უდიდესი იქნება.**



მეტად საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა ჩვენმა პრეზიდენტმა. თუ ქართველი ხარ და საქართველო გიყვარს, უნდა გაითავისო ერის გამრავლების პრობლემები... წელიწადში ორ-სამჯერ ჩვენს რაიონულ გაზეთში და „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვაქვეყნებ წერილებს ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს დემოგრაფიულ პრობლემებზე. სამწუხაროდ, ვითარება წლიდან წლამდე სულ უფრო საგანგაშოა.

ორიოდე თვის წინათ, საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ნეტავ, არ გავცნობოდი წინასწარ მონაცემებს, ნეტავ, შეცდომა იყოს ის ციფრები, რომლებიც გაზეთების ფურცლებზე და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.

### თუ ამ 30–35 წლის წინ საქართველოს მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 1,5 პროცენტს შეადგენდა და ყოველ ათიათას კაცში 5 საქართველოს მოქალაქე იყო, ახლა ერთი პროცენტიც აღარაა. ამ სავალალო შედეგებით შევხვდით დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულებს.

**ამ შედეგებით ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.**

**სამჯერ თუ ოთხჯერ გადავამოწმე სტატისტიკის წინასწარი მონაცემები. 2024 წლის აღწერით საქართველოში 1.340.000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ეს მაშინ, როცა საქართველოში საცხოვრებლად შემოსახლებულთა გამრავლება უკვე თვალსაჩინოა. ხელთ მაქვს ცნობილი ქართველი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის მიერ გამოქვეყნებული მასალები. 2 მილიონზე მეტი ქართველი ქვეყნის გარეთ ცხოვრობს, აქედან 1 200 ათასი რუსეთშია, 500 ათასი – თურქეთსა და საბერძნეთში, დანარჩენები მსოფლიოს არიან მოდებულნი.**

**2021 წელს საქართველოში 3 მილიონ 703 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 2022 წელს მოსახლეობა 40 ათასით გაიზარდა. სამწუხაროდ, ეს ნამატი ქართველ ქალებს არ შეძენიათ. ამ 40 ათას ახალშობილში მხოლოდ ყოველი მესამე იყო ქართველი, დანარჩენი საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელების, სომხების, ოსების და სხვა ეროვნების ნამატი იყო. ამ ფაქტს ადასტურებს ცნობილი ანალიტიკოსი, პროფესორი დემურ გიორხელიძეც.**

ცნობილი მწერალი **ოთარ ჭილაძე** წერდა, – ებრაელები 25 საუკუნე საკუთარი სახელმწიფოს გარეთ იყვნენ მიმოფანტულნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც კი ისრაელის სახელმწიფო შექმნეს, ებრაელთა 80-90 პროცენტი მშობლიური სახელმწიფოს ასაშენებლად დაირაზმა და ისრაელში ჩავიდა. უმოკლეს დროში დიდებული სახელმწიფო შექმნეს და დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობენ მსოფლიოში, მათ სიტყვას დღეს დიდი ფასი აქვს და მსოფლიოც უსმენს. ჩვენ, როგორც კი თავისუფლება მოვიპოვეთ, საქართველო ქართველებისგან დაიცალა, მშობლიური სახლ-კარი მიატოვეს და საშოვარზე საზღვარგარეთის ქვეყნებში გაიფანტნენ, ზოგი მეეზოვედ, ზოგიც მოხუცთა და ავადმყოფთა მომვლელებად, ზოგიც ღირსებაშემლახავ, მეტწილად აუტანელ, დამამცირებელ სამუშაოს ასრულებს...

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ბევრი ემიგრანტი კიდეც მათხოვრობს და ქურდობს. ევროპის სახელმწიფოების ციხეები სავსეა თურმე ქართველებით, თითქმის ყოველკვირა არაერთი ინფორმაცია ქვეყნდება მათი „საგმირო საქმეების“ შესახებ, ბევრი პოლიტიკურ დევნილად დადგა აღრიცხვაზე. სამწუხაროდ, საქართველოსადმი დიდი ნოსტალგია აქვთ, თუ ვინმე გარდაიცვლება, ანდერძად აქვთ დატოვებული თხოვნა-მუდარა, საზღვარგარეთ არ დამმარხოთ, საქართველოში გადამასვენეთო. მათთვის საქართველო დღეს ერთ დიდ სასაფლაოდაა გადაქცეული.

**მინდა ვიკითხო, ოცი-ოცდაათი წელი რომ საზღვარგარეთ მუშაობენ, რით ვერ დააგროვეს საქართველოში სახლის ყიდვის თუ შვილის უმაღლესში სწავლის ფული? სამწუხაროდ, ემიგრანტებს ევროპული სახელმწიფოები საკუთარ ხალხთან შედარებით 2-3-ჯერ ნაკლებ გასამრჯელოს უხდიან.**

**ძალიან მაინტერესებს, ვინ ააშენოს დანგრეული და მიწასთან გასწორებული საქართველო, სადაც 30-35 წელია აქციებისა და მიტინგების მეტი თითქმის არაფერი გვინახავს და ერთმანეთის შუღლსა და დაპირისპირებაში გადის ულმობელი დრო.**

ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე სიარული უწევს, რათა როგორმე ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს, გარეშე და შიდა მტრების მოგერიებას ვუნდებით, ოპოზიციას არც ჩატარებული არჩევნების შედეგები აწყობს და არც პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, უკეთესს კი ვერაფერს გვთავაზობენ, გარდა იმისა, რომ ევროპარლამენტში ჩააქვთ ქვეყნის დამაქცევარი წერილები და ფირმანები.

**საქსტატის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოდან 120 ათასი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში. იმავე 2023 წელს საქართველოში 26 ათასი ემიგრანტი შემოვიდა და საქართველოში დარჩა საცხოვრებლად!**

მართლაც არანორმალური ვითარებაა, ქართველები სამშობლოს ტოვებენ და უცხოეთში მიდიან სამუშაოდ, უცხოტომელები კი საქართველოში ჩამოდიან საცხოვრებლად და ისე ბედნიერად გრძნობენ თავს, რომ თავიანთ ქვეყანაში დარჩენილ თანამოძმეებს ეპატიჟებიან ჩამოსასვლელად!

ვერ ნახავთ მოხუცებულ და ასაკოვან უცხოელს, მხოლოდ ახალგაზრდა, აქტიური ხალხი ჩამოდის და აქტიურადაც მრავლდებიან!

### იცით თუ არა, რომ ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, 2023 წელს დაიბადა 40214 ახალშობილი და გარდაიცვალა 42756 ადამიანი!!!

ახლა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ სტატისტიკასაც გაგაცნობთ.

**1989 წლის აღწერით ბორჯომის რაიონში 39,5 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის ქართველი 65 პროცენტი იყო. 2024 წლის მონაცემებით სულ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 24,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ქალაქ ბორჯომში – 11,2 ათასი, ახალდაბა, ბაკურიანი, წაღვერი, ანდეზიტი ქალაქის ტიპის დასახლებებია და იქ სულ 4,2 ათასი ადამიანი ცხოვრობს; სასოფლო დასახლებებში – 9,2 ათასი. 2023 წელს იქორწინა მხოლოდ 177 წყვილმა, განქორწინდა – 83 (თითქმის ნახევარი), ამავე პერიოდში დაიბადა 217 ახალშობილი, გარდაიცვალა – 361 ადამიანი.**

**ბორჯომში ყოველი მესამე-მეოთხე ბინა დაკეტილია და მეპატრონე ემიგრაციაშია წასული...**

ამას წინათ გამოქვეყნებულ კიდევ ერთ სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ. **1991 წელს საქართველოში 4,8 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. 2024 წელს საქართველოს მოსახლეობა 22,92 პროცენტით შემცირდა და 3,7 მილიონი დარჩა.**

**აზერბაიჯანის დემოგრაფიული მონაცემები ამავე წლებში 88,89 პროცენტით გაიზარდა; ტაჯიკეთის – 43,06 პროცენტით; ყაზახეთის – 23,17 პროცენტით; უზბეკეთის – 79,43 პროცენტით; თურქმენეთის – 70,27 პროცენტით; ყირგიზეთის – 65,95 პროცენტით. ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს სომხეთს, ლიტვას და რუსეთს, ხოლო საქართველოზე უარესი მდგომარეობა აქვთ უკრაინას, მოლდოვას და ლატვიას.**

გაეროს წინასწარი მონაცემებით, **2050 წელს ქართველთა ეთნოსი 30 პროცენტით შემცირდება.**

**ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობს ცენტრალური ხელისუფლება ამ სავალალო სტატისტიკური მონაცემების შესაცვლელად. ნუთუ ის მაინც არ შეუძლია, რომ შეზღუდოს ემიგრანტთა მიღება და სამუდამოდ არ ჩაასახლოს საქართველოში ის ეთნოსი, რომლებსაც დიდი ხანია თვალი უჭირავთ ჩვენ მიწა-წყალზე!**

**P.S.** დაკნინებულია საქართველო, რადგან ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია; ცრემლიანია საქართველო, რადგან 2 მილიონამდე საქართველოს მოქალაქე ცხრა მთის იქითაა გადახვეწილი; გულდაწყვეტილია საქართველო, რადგან დედაქალაქში აგერ 140 დღეზე მეტია გრძელდება ე.წ. „მშვიდობიანი“ აქციები, პარლამენტის წინ იკრიბებიან ადამიანები, მაგრამ ძირითადად „მდუმარეა“ მათი აქცია!. სევდიანია საქართველო, რადგან ამდენი შიდა და გარე მტერი არასდროს ჰყოლია. სატირალი ისიცაა, რომ შინაური მტრები უფრო აქტიურობენ ქვეყნის სახელის შელახვისათვის და სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლისათვის, ვინემ გარეშენი. კი, მაგრამ, რამ შეაძულა ამ ადამიანებს საქართველო და ქართველები?!



ვალერიან ლომიძე,
გაზეთი „ბორჯომი“.

## მამის ვედრება «ბერბიჭა» შვილებისადმი

...გაფრინდა წლები, ჩემო „ბერბიჭავ“,
შენ თვალს მარიდებ, თან იღიმები...
არ უსმენ მშობელს, შენი ცხოვრება
ფიქრობ, რომ არის შენი უფლება,
გაითავისე, რომ მამის თხოვნით
თავად უფალი გესაუბრება!..
ახალგაზრდობა ხელთ შემოგადნა,
როგორც ზამთარში თოვლის გუნდები,
შენ უარს ამბობ უკვდავებაზე,
„მეორე წრეზე“ ვერ დაბრუნდები!
არარა გესმის არც პატრიარქის,
არცა ღვთისმშობლის გულით ვედრება,
შენი პატარას უმანკო ღიმილს
ქვეყნად სამოთხე თუ შეედრება...
შენი ჯილაგის შნო და მშვენება,
ერს აცილებს გადაშენებას!
რით ვერ გაიგე, ოჯახი შენი
დღეს ერისათვის არის მთავარი,
შენი შვილები, შვილიშვილები
„განსაცვიფრებლად არის მთავარი“.

ლადო ჭანტურიძე.

## იაპონიის მოსახლეობა რეკორდულად მცირდება!

**2024 წლის ოქტომბრის მონაცემებით, იაპონიის მოქალაქეთა რიცხვი 120.3 მილიონამდე შემცირდა. ბოლო წლების განმავლობაში მკვიდრი მოსახლეობის ოდენობა 900 000-ით შემცირდა. ამის მიზეზი შობადობის დაბალი მაჩვენებელია, რომელიც იაპონიაში მსოფლიოში ყველაზე დაბალია.**

იაპონიის მოსახლეობამ პიკს 2008 წელს მიაღწია, მას შემდეგ კი შობადობის კლების გამო გამუდმებით მცირდება.



**მცირე ზრდა მხოლოდ ორ პრეფექტურაში, ტოკიოსა და მის მეზობელ საიტამაში ფიქსირდება, ქვეყნის დანარჩენ 45 პრეფექტურაში კი მოსახლეობის რიცხვი მცირდება, რაც, ხელისუფლების თქმით, პრობლემებს იწვევს როგორც საზოგადოებაში, ისე ბიზნესისთვის – მცირდება სამუშაო ძალა და მომხმარებელთა რიცხვი.**

იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მდივნის იოშიმასა აჰაიაშის თქმით, იაპონიის ხელისუფლება ცდილობს, წაახალისოს შობადობა ახალგაზრდებში, რომლებიც შვილების გაჩენისგან ეკონომიკური გარემოებების გამო იკავებენ თავს. ამ მიზნით გათვალისწინებულია ხელფასების ზრდა ახალგაზრდებისთვის და ბავშვის მოვლაში დახმარების უზრუნველყოფა.

**ჯერ კიდევ 2023 წელს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ფუმიო კიშიდამ განაცხადა, რომ ხელისუფლება ყოველწლიურად 25 მილიარდამდე დოლარს გამოყოფს ბავშვთა მოვლისა და მშობელთა მხარდაჭერის სხვა პროგრამებისთვის.**



# ტიტულის იქნება

**ჩვენს გოლიათთა წარმატებების აღსანიშნავად?**

როგორც მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში დაწყებული ევროპის ჩემპიონატი მოწმობს, სანერვიულო არაფერია – ტრადიციებთან ერთად, ჯვაროსანთა ამბიციებს ნიჭიერი თაობა და გამოცდილება ასაზრდოებს, რასაც **გიორგი ასანიძის** სამწვრთნელო ფილოსოფიის ფაქტორიც ემატება:

**რამინ შამილიშვილი** (55 კგ). ატაცი – 109 (მე-5 ადგილი), აკვრა (134) და ორჭიდი (243) – ბრინჯაო.

**გოდერძი ბერდელიძე** (61 კგ). ატაცი – 123 (ბრინჯაო), აკვრა (153) და ორჭიდი (276) – ვერცხლი.

**მას შემდეგ, რაც ლაშა ტალახაძე ფიცარნაგს დაემშვიდობა და საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას ჩაუდგა სათავეში, გულშემატკივარს საფიქრალი მოემატა – ტიტულებს დაჩვეულნი, როდისღა მოვისმენთ სახელმწიფო ჰიმნს**

# მისალღები შედეგით

**უკვე გაუწყეთ, რომ სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავის ხალიჩაზე მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე რამაზ ზოიძემ (77) ვერცხლი, ხოლო 17 წლის ვახტანგ ლოლუამ (55) სენსაციური ბრინჯაო მოიპოვეს.**

ფორუმის დასკვნით დღეს ჯვაროსანთა ყულაბაში კიდევ 2 ბრინჯაო ჩააჩხრიალეს **ჯონი ხეცურიანმა** (67) და **გელა ბოლქვაძემ** (82), სულ კი 4 მედალი მოვიხვეჭეთ.





შეგახსენებთ, რომ მანამდე სარბიელი „თავისუფლებს“ დაეთმოთ, სადაც საქართველოსეროვნულმა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი **დავით ხურცია)** კიდევ უფრო უკეთ იასპარეზა და გუნდურ მე-2 ადგილთან ერთად სამშობლოში 5 მედლით დაბრუნდა, თანაც მისი ლიდერი **გივი მაჭარაშვილი** (97) ზედიზედ მესამედ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

# ჩვენი ტატამი

**ახლახან თბილისმა ტრადიციულ გრანდ სლემს, როგორც ყოველთვის, წარმატებით უმასპინძლა. და აი, ძიუდოს ზეიმი გრძელდება – ამჯერად საქართველოს დედაქალაქში კადეტთა შორის ევროპის თასის გათამაშების მონაწილეები შეიკრიბნენ.**

აღსანიშნავია, რომ ჯვაროსანთა მიერ მოპოვებული 10 მედალი რაოდენობრივად თანაბრად განაწილდა (5-5), ხარისხობრივად კი გოგონებმა ბიჭებს აჯობეს!

**ოქრო** – ცოტნე იჩქითიძე (60), თინათინ გულბანი (57), ქეთი რობაქიძე (70).

**ვერცხლი** – საბა ბოლქვაძე (50), ლუკა ქუთათელაძე ( 73), ნანა გულბანი (63).

**ბრინჯაო** – ბაჩო გიგანი (66), ზურაბ გოგაძე (66), მარიამ გულიაშვილი (52), ნინი ძაგანია (70).

ბუნებრივია, ასეთი მსუყე მონაგრით ჩვენმა ნაკრებმა გუნდური ჩათვლაც მოიგო!

# — კარგი ამბები —

## წყალში ხტომა

**ხორვატეთი.** ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები – 10 მედალი (1 ოქრო, 2 ვერცხლი და 7 ბრინჯაო).

## რაგბი

**ვიში** (საფრანგეთი). 18-წლამდელთა 6 ერის ფესტივალი. მე-2 რაუნდი. საქართველო – უელსი 10:17 (პირველი ტაიმი 7:7). ლელო – **წიკლაური**. გარდასახვა და ჯარიმა – **ჭაკუა**. ტურნირის სტარტზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ასევე მძაფრი ბრძოლა დათმეს იტალიასთან – 24:37, დასკვნით მატჩს კი 18 აპრილს ირლანდიასთან გამართავენ.

## ავტოსპორტი

**ესპანურ ვალენსიაში გამართულ ნასკარი ტროფიზე ქართველი მრბოლელები 4 პოდიუმით გამოირჩნენ. დათა ქაჯაიამ** ჯერ ჩელენჯერი მოიგო, ხოლო მეორე დღეს მეორე ადგილი დაიკავა, **სანდრო თავართქილაძემ** კი ორივეჯერ მე-2 შედეგი აჩვენა.



# დაუვიწყარი და საბედისწერო კამათი



„გასეირნება ბუტირკის ეზოში“

**ვამბობ კამათს, რომლის მოწმე გავხდი და რომელიც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, და რომელსაც, ერთი მხრიდან სულ დიდის გინება ახლდა. მაგრამ ყველაფერი თანმიმდევრობით. ვფიქრობ, ჩემი ეს გახსენება მაინც სასიკეთოდ წაადგება იმ ახალგაზრდებს ან მათ მშობლებს, რომლებსაც აზროვნების უნარი შერჩენიათ, დემონსტრაციებში მონაწილეობით სულ არ გაგიჟებულან და ვისაც საერთოდ არ დავიწყნია გაზეთის არსებობა.**

1964 წლის ცხელი ზაფხულია. მოსკოვში, „სახელგანთქმულ“ ბუტირკის ციხეში ვიმყოფები. ციხის საკანი მატარებლის კუპეს მოგაგონებთ: ორ-ორი რკინის საწოლი, ზევით და ქვევით, მაგრამ, მატარებლის კუპესგან განსხვავებით, აქ რკინის კარები გარე სამყაროსგან გამოგყოფს, სარკმელიც რკინის ფირფიტებითაა აჭედილი, დღის სინათლე რამდენიმე საათის განმავლობაში ატანს საკანში, უმეტესად ელექტრონის შუქია. და ასე – მთელი წლის განმავლობაში. ზოგჯერ შორეული კამერებიდან მომესმის რუსული სიმღერა ტკბილი სლავური ხმით: „ცხოვრებაში ერთხელ არის, ერთხელ არის თვრამეტი წელი...“

დღეში ერთხელ ნახევარი საათით „სასეირნოდაც“გავყავართ. მაგრამ რა: ისევ კედლებში მოქცეული სივრცე, ზემოდან რკინის ბადით გადახურული, რომლის ზემოთ ავტომატიანი ჯარისკაცი დააბიჯებს. ერთადერთი უპირატესობა კამერასთან შედარებით: შეგიძლია ცას უმზირო. შემდეგ – ისევ კამერა. ზოგს ემართება ე. წ. „საკამერო ფსიქოზი“, ესე იგი, ვეღარ უძლებს ქვის ტომარაში ყოფნას, რომელთა საზარელი კივილი ჩვენს კამერაშიც აღწევს.

მკითხველს, ბუნებრივია, აღეძვრის კითხვა, თუ რატომ მოვხვდი იქ. პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ რუსი დავჭერი, როდესაც ქართველობას აუგად შეეხო. ეს ჩემი საქციელი მაშინ ძალზე მეამაყებოდა, დღეს კი გარკვეული სინანული მიპყრობს, რადგან რუსის ქცევა ჩემგან ასეთ გადამეტებულ რეაქციას არ იმსახურებდა!..

ჩემთან ერთად კამერაში იმყოფებოდა ხნოვანებით ჩემზე გაცილებით უფროსი, ეროვნებით ოსი კოტე ცხოვრებოვი, რომლის მეორე დედაენა ქართული იყო **(ჩვენი ცოდვა ჰქონდეს იმას, ვინც ქართველებსა და ოსებს შორის მტრობა ჩამოაგდო)**. ესეც კაცის დაჭრაზე იჯდა. ციხეში დიდად დავმეგობრდით. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ციხის უფროსობამ გადაწყვიტა კამერების დათვალიერება-შემოწმება და ამიტომ, პატიმრები დროებით სხვადასხვა კამერებში განგვთესეს. მე და კოტე აღმოვჩნდით ერთ დიდ კამერაში, სადაც ნაცვლად 25 პატიმრისა, სამოცამდე ვიყავით – ეს დავადგინე კედელზე მიჭედებული თაროების მიხედვით, ე. წ. „პერედაჩებისთვის“, რომელთა რიცხვი 25 იყო. წარმოიდგინეთ ეს კამერა: პაპანაქება ზაფხული, პატიმრები სულ გაშიშვლებული, ოფლისა და ზინზლის სუნი, ისე, რომ თავი ჯოჯოხეთში მეგონა (მაგრამ მეორე ჯოჯოხეთი იყო ორკაციანი საკანი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ პატიმრები მოსაყოლსა და სალაპარაკოს ვიზოგავდით, რათა არ ამოვწურულიყავით, რომ „უსაქმურობისგან“ კედელზე თავი არ გვეხეთქებინა)...

და აი, აქ მოხდა ეს დაუვიწყარი და საბედისწერო კამათი. მაგრამ ჯერ უნდა აღვნიშნო, რომ უეცრად დამეუფლა ქრისტეზე გაფიქრება, რომელმაც ჩემში წარმოუდგენელი სიტკბოება გამოიწვია, მაგრამ ეს ფიქრი, როგორც ყოყოჩმა „ნიცშეანელმა“, ჩემგან შეგნებულად განვაგდე. აქვე დავძენ, რომ დაკითხვებზე, გამომძიებლებზე სულ გულში ვხარხარებდი, თუმცა ამ მხიარულებას აქარწყლებდა კამერაში ყოფნით გამოწვეული ფიზიკურ-სულიერი ტანჯვა. ხოლო თუ რატომ იწვევდნენ ჩემში გამომძიებლები დაცინვას, ეს საკმაოდ ფაქიზი დაკვირვების საგანია. ციხე, გამოძიება, დაპატიმრება და ა. შ., ემსახურება საზოგადოებისა და მისი კეთილდღეობის დაცვასა და ხელუხლებლობას. მაგრამ ყველაფერი ეს ხორციელდება ძალის გამოყენებით ანუ ძალდატანებით. ხოლო ნებისმიერი ძალდატანება უკვე ბოროტების ნიშნებს შეიცავს ანუ სიკეთის მიზნისთვის (საზოგადოების დაცვა) ხშირად ბოროტების ძალები თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ არიან გამოყენებულნი, როგორც ამას იუწყება სახელგანთქმული ჟოზეფ მარია გრაფი დე მესტრი (1753-1821). და აი აქ სიკეთის მომსახურე გამომძიებელს რაკი ყურებზე დაკიდებული ბოროტება უჩანდა, სწორედ ეს იწვევდა მხიარულებას და მათ დაცინვას.

ვაგრძელებ თხრობას. კოტე, კამერაში რუსების რაოდენობით შეშინებული, ცდილობს, რომ თავზე ხელაღებულ მკვლელად გამომაცხადოს, რათა მათ შიში მოჰგვაროს. თან გასართობად მიყვება მოსკოვში თავის თავგადასავალს, როდესაც მანქანით მიმავალმა, რაღაც წესი დაარღვია, ოსმა მილიციონერმა გააჩერა და მიუხედავად კოტეს ოსურ ენაზე მჭევრმეტყველებისა, მაინც მილიციაში წაათრია და იქ უმკაცრესი ჯარიმა გადაახდევინა. აი, ეგეთები არიან ოსებიო, და ქართული სიმღერა დაიღიღინა: „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან...“

არ დამავიწყდება რუსი ზედამხედველის („კორპუსნოი“) სიკეთეც, რომელმაც რაკი ცუდად ვიყავი, სხვებთან ერთად კამერიდან არ გამიყვანა ტუალეტების საწმენდად.

ჩვენს დიდ კამერაში ე. წ. „კანონიერი ქურდი“ არ აღმოჩნდა, რომლებიც ჩვეულებისამებრ ჯვარს ატარებენ და ღმერთი სწამთ (?). სულ კომკავშირელ-პარტიულები იყვნენ, მაგრამ აქვე იმყოფებოდა ეკლესიის მსახური, მნათე, დაახლოებით 60 წლის მამაკაცი, პატარა ტანის, გაფითრებული. იგი ყოველ დილას სიმღერით იღვიძებდა: **„ვინც ეძებს, ის იპოვის“...** და აი, აქ მოხდა ის საბედისწერო კამათი მასსა და ვიღაც ბრგე კომკავშირელს შორის, რომელსაც, როგორც ჩანს, მოთმინება გამოელია ამ მნათეს სიმღერების გამო და პირდაპირ მიმართა მას: **„სთქვი, შენი დედა, ვის სწამს აქ შენს გარდა ღმერთის, ვინ ხედავს მას?!“** მნათემ ამაზე, როგორც ქრისტიანს შეეფერება, წარბშეუხრელად და გაბედულად უპასუხა: **„განა ხედავ შენს აზრს? იგი უხილავია, მაგრამ ხომ არსებობს?“** – **„მე შენი დედა“!** – კვლავ გაისმა კომკავშირელის ღრიალი, **„ვის სწამს აქ შენს მეტს ღმერთის არსებობა**?!“ და, სანამ კომკავშირელი მნათეს შეაგინებდა ან დაარტყამდა, ნარებიდან რაღაც უხილავმა ძალამ წამომაგდო, მივეჭერი კომკავშირელს და მაღალი ხმით შევძახე: **„მე მწამს!“** (აქ სულ დამავიწყდა ჩემი „ნიცშეანელობა“, **„ღმერთი მოკვდა“** და ასე შემდეგ).

ჩემს შეძახილზე კომკავშირელი შეცბა და ზრდილობიანად მომმართა: **„შეგიძლიათ ეს დაამტკიცოთ?“** – **„არ არის საჭირო არავითარი მტკიცება!“** – შევძახე და ძალუმად ხელი ვკარი ისე, რომ ნარებზე გადაითხლაშა. კამერაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხელის გატოკება ვერავინ გაბედა.

„ეს რა ქენი, კაცო“ - მეუბნება კოტე ცხოვრებოვი, ისევ რუსების რაოდენობით შეშინებული, როდესაც ჩემს ნარს დავუბრუნდი.

ერთი სიტყვით, მე და ის მნათე დავმეგობრდით. თურმე რატომ დაუჭერიათ: მოსკოვის იმ ეკლესიას, სადაც იგი მნათე იყო, ანგრევდნენ. ამან ხალხს მოუწოდა, დავიჩოქოთ და ვილოცოთო. ეს ჩაუთვალეს ხალხის „აბუნტებად“ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. შემდეგ, ეს მნათე ციხიდან ჩემზე ადრე გათავისუფლდა, რომელსაც დავავალე მოსკოვში ჩამოსული დედაჩემი ენახა. მისულა მნათე და – **„თქვენ უშესანიშნავესი შვილი გყავთ!“** – უთხრა. იქით სახლის პატრონს შეშინებია – **თქვენი შვილი ნუ აგზავნის აქ „ნაპატიმრალებსო“.**

ახლა რაც მთავარია: საიდან იცოდა უბრალო მნათემ, რომ მატერიის ფიზიკურ-ქიმიური მოქმედებები და თავის ტვინში ფიზიოლოგიური მოვლენები აღმოაცენებენ თვისობრივად სრულიად განსხვავებულ მოვლენას, როგორიც არის ცნობიერება, „მე“ ან სხვა ნებისმიერი აზრი? როგორ არის ეს შესაძლებელი? ამაზე ჯერ კიდევ 1872 წელს, გამოჩენილმა გერმანელმა ფიზიოლოგმა დიუბუა-რეიმონმა განაცხადა: „არ ვიცით და არასოდეს გვეცოდინება“ – შემდეგ, ამ თემას მიუძღვნა ანრი ბერგსონმა თავისი კლასიკური ნაშრომი „მატერია და მეხსიერება“, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ ცნობიერება ანუ სული, მიუხედავად მისი კავშირისა სხეულთან, პრინციპში მისგან დამოუკიდებელია და, მაშასადამე, შეუძლია არსებობა ადამიანის სიკვდილის შემდეგ.

**და, კიდევ. ყოველივე ამის შემდეგ, ჩემში მოხდა უცნაური ცვლილება: იმავე ძალამ, რომელმაც ნარებიდან წამომახტუნა და მნათეს დამცველად მაქცია, ვიმეორებ – იმავე ძალამ, აშკარა მორწმუნე გამხადა და მიბოძა სასწაულის გამოცდილება, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული, ჩემში სუფევს და წარუვალი განძია.**

**ვიქტორ (დოდო) რცხილაძე**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 4, ბინა 403, 52.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.403)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 114000 ლარს დამატებული დღგ - 20520 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 138584 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107451325**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074513

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, **U35822463** /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107451325**; ლოტის ნომერი: 1074513).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 5, ბინა 503, 52.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.503)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 114000 ლარს დამატებული დღგ - 20520 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 138584 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 15:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107455825**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074558

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, **U35822463** /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107455825**; ლოტის ნომერი: 1074558).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 9, ბინა 902, 58.46 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.902)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 132500 ლარს დამატებული დღგ - 23850 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 160414 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 17:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107477125**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074771

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, **U35822463** /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107477125**; ლოტის ნომერი: 1074771).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 8, ბინა 803, 52.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.803)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 119000 ლარს დამატებული დღგ - 21420 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 144484 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 13:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107479025**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074790

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, **U35822463** /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107479025**; ლოტის ნომერი: 1074790).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.



საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, თხემით ტერფამდე გამორჩეული ქართველის, კოლორიტული პიროვნების, მრავალი თაობის აღმზრდელის, დიდი მეგობრობისა და ღირსების მატარებელი ერისკაცის, მეცნიერის, მეცენატის, ღირსეული ოჯახის მეუღლის, მამის, ბაბუის, დიდი ბაბუის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ბიზნესისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსის, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის, ღირსების ორდენისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მფლობელის, აკადემიკოს

# გიორგი (გია) ბაბუნაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.

აკადემიის სახელით,

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი,**

აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე



# გარდაიცვალა ნობელიანტი მარიო ვარგას ლიოსა

ხორხე მარიო ვარგას ლიოსა – პერუელი მწერალი, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, ესეისტი 2010 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ასევე იყო პრინსტონის უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორი.

მარიო ვარგას ლიოსა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ნოველისტი და ესეისტია. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, მან ლათინოამერიკელთაგან ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე. მარიო ვარგას ლიოსა აქტიურად ითარგმნება ქართულად. ბოლო წლებში გამოიცა მისი რომანები: „ცუდი გოგოს ოინები“, „ვაცის ნადიმი“, „ქალაქი და ძაღლები“, „ხუთი კუთხე“, „დეიდა ხულია“ და „სცენარისტი“.

სანთელი



# ლია ალავიძე-მეტრეველი

**(1938–2025)**

გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ღვაწლმოსილი თანამშრომელი ლიანა (ლია) ალავიძე-მეტრეველი.

1958-1964 წლებში ქალბატონი ლია სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. სწავლის პარალელურად, 1959 წლიდან იგი მუშობდა ბოტანიკურ ბაღში. მან შრომითი კარიერა დაიწყო მუშის პოზიციით, შემდეგ გახლდათ აგროტექნიკოსი, ლაბორანტი, ხოლო 1969 წლიდან – უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სხვადასხვა წლებში იგი იკავებდა მეცნიერ-თანამშრომლის, აგრონომისა და საფონდო-საკოლექციო ორანჟერეის უფროსი აგრონომის პოზიციებს.

ქალბატონი ლიას სამეცნიერო კვლევის სფერო მოცავდა დეკორატიული კულტურების მავნებელ დაავადებებთან ბრძოლისა და მოვლის აგროტექნიკური მეთოდების შემუშავების საკითხებს. იგი არის ამ სფეროში 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ხშირად აქვეყნებდა თემატურ სტატიებს პოპულარულ ჟურნალებსა და გაზეთებში.

სიცოცხლის ბოლო წლებში ლია მეტრეველი იკავებდა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მებაღეობისა და ლანდშაფტის დიზაინის განყოფილების ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეის აგრონომის პოზიციას, ხოლო 2024 წლამდე იყო დეკორატიულ მცენარეთა განყოფილების ტროპიკულ მცენარეთა სექტორის აგრონომ-კონსულტანტი.

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლია მეტრეველის გარდაცვალების გამო, მადლობას უხდის მას ბოტანიკური ბაღისათვის გაწეული მრავალწლიანი სამსახურისათვის და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 7, ბინა 701, 64.75 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.701)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 132500 ლარს დამატებული დღგ - 23850 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 160414 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 16:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107476025**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074760

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, **U35822463** /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107476025**; ლოტის ნომერი: 1074760).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 8, ბინა 801, 64.75 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.801)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 143000 ლარს დამატებული დღგ - 25740 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 172804 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 12:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107477325**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074773

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, **U35822463** /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107477325**; ლოტის ნომერი: 1074773).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.

# თინათინ მღვდლიაშვილის 70 წლის საიუბილეო საღამო მარჯანიშვილის თეატრში



**„მე ავირჩიე გზა ეკლიანი“ – ამ სახელწოდების საღამო მხატვრული წარმოდგენით შედგა, რომელიც მთლიანად თინათინ მღვდლიაშვილის მრავალწლიან შემოქმედებას მიეძღვნა.**

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ცნობილი სახეები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც იუბილარის ლექსები წაიკითხეს, გაიხსენეს მისი შემოქმედება, ხოლო ქართველმა მომღერლებმა პოეტის ლექსებზე შექმნილი ცნობილი კომპოზიციები შეასრულეს.

**თინათინ მღვდლიაშვილი გალაკტიონ ტაბიძისა და ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის ლაურეატია, რომელსაც პოპულარობა ლექსმა „დავით მეფემ“ მოუტანა.**

## დავით მეფეს

აღმაშენებელი
თბილისს მობრძანდება
ყალყზე შემდგარი რაშით!
გული გაიმაგრე,
გული გაიმაგრე,
გული გაიმაგრე,
დავით!

რა დაგვიტოვე,
და რას გახვედრებთ,
რით მოვიწონოთ თავი?
ვერ ვიდავითეთ,
ვერ ვითამარეთ,
ვერ ვიდიდგორეთ,
დავით!

მიწა გაგვიყიდეს,
ხორცი დაგვიფლითეს,
გული ამოგვგლიჯეს ტანჯვით!
გარეჯს გვიფეთქებენ,
რუსთველს გვიგინებენ,
სულში გვაფურთხებენ,
დავით!

გადამთიელები,
უცხოტომელები,
ტაძრებს გვიფხაჭნიან დანით!
გადამიარეთო! -
ასე დაგვიბარე,
გადაგვიარეს,
დავით!

ვერ დავიცავით
სრულიად საქართველო,
ვერ მოვუფრთხილდით წამით!
ხმალი დაგვიჟანგდა,
სისხლი გაგვიწყალდა,
დავპატარავდით,
დავით!

მტერმაც გვლეწა
და ერთურთიც ვლეწეთ,
ვლეწეთ დღისით და ღამით!
ტაოს მივტირით,
ჰერეთს მივტირით,
სამცხეს მივტირით
დავით!

კვნესის საქართველო,
შენი საქართველო,
გულში დაჭრილია ხარი!
მუხლი მაგარი აქვს,
არ დაიჩოქებს,
ნუ გეშინია,
დავით!



თბილისი მაინც
ისევ თბილისობს,
გელათი ისევ ყვავის!
იბადებიან დღესაც ლეკვები,
სადიდგორენი
დავით!

მეფედ შენ გვსურხარ,
შენ გვიპატრონე,
შენი ხმლითა და ფარით!
სხვა ღმერთს
არა ვცნობთ!
სხვა ხატს არა ვცნობთ!
სხვა კაცს
არა ვცნობთ
დავით!

აღმაშენებელო,
თბილისს შემობრძანდი,
თეთრი გიორგის მადლით!
მუმლი მუხასაო!
მუმლი მუხასაო!
მუმლი მუხასაო!
დავით!




# საქართველოს კულტურის სამინისტრომ პატივი მიაგო გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას

**115 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის დაბადებიდან, ხოლო 60 წელი – მისი გარდაცვალებიდან.** საქართველოს კულტურის სამინისტრო პატივს მიაგებს **გიორგი შატბერაშვილის** ღვაწლსა და ხსოვნას.

სიმბოლურია, რომ მწერლის დაბადებისა და გარდაცვალების დღე და თვე, 14 აპრილი, ქართული ენის დღესასწაულს ემთხვევა. სიმბოლურია, რადგან გიორგი შატბერაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიის და, ამასთანავე, სალიტერატურო ენის განვითარებაში, ახალი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულებით მის გამდიდრებაში. საყოველთაოდ აღიარებულია გრამატიკული ფორმების გამოყენების მისეული ხელოვნება. ლექსიკოგრაფიაში შეტანილ წვლილს კი, მკაფიოდ წარმოაჩენს გიორგი შატბერაშვილის მიერ შედგენილი „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება მრავალ ჟანრს მოიცავს: წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, პიესებს, წერილებს; თარგმნიდა უცხოური ლიტერატურის ნიმუშებს.

ლექსების პირველი კრებული ოცდაორი წლისამ გამოსცა. ამას მოჰყვა პიესა „დუშმანი“, რომლითაც სანდრო ახმეტელი დაინტერესდა და რუსთაველის თეატრში შალვა აღსაბაძეს დაადგმევინა. ამ პერიოდში დაწერა ლექსი „წერილი ახალგაზრდობას“. ამ ორივე ნაწარმოების გამო, 1934 წელს დააპატიმრეს და შუა აზიაში გადაასახლეს. 1936 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ თბილისში ცხოვრება და ლიტერატურული საქმიანობა აუკრძალეს. რვა წლის განმავლობაში ცხოვრობდა მშობლიურ კუთხეში, მასწავლებლობდა კასპში, ქვემო ჭალაში, კავთისხევში. 1944 წელს თბილისში დაბრუნების უფლება მისცეს და მრავალმხრივი სამწერლო საქმიანობა გააგრძელა. აღსანიშნავია, რომ მისი პიესები საქართველოს თითქმის ყველა თეატრში იდგმებოდა. 1960 წელს დაწერა მოთხრობა „მკვდრის მზე“, რომელსაც დიდი აღიარება მოჰყვა და ავტორს საბოლოოდ დაუმკვიდრა პროზის გამორჩეული ოსტატის სახელი.




# ქართველი მხატვრების ნამუშევრების წინასააღდგომო გამოფენა

**12-დან 17 აპრილის ჩათვლით, შალვა ძნელაძის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების წინასააღდგომო ჯგუფური გამოფენა მიმდინარეობს.**

გამოფენაში მონაწილეობენ: **გიორგი ნოქარიშვილი, ლევან ვეკუა, ნანა მჭედლიშვილი, მანანა ამყოლაძე, ირინა ძამაშვილი, ქეთი თავდუმაძე, ნინო ძამაშვილი, მაია მაღლაკელიძე, (ბატიკა) ნინო ნასიძე, გვანცა ჩხაიძე.**

**„გამოფენაზე გაეცნობით და შეიძენთ მხატვრების მიერ შექმნილ განსაკუთრებულ ნამუშევრებს და დაათვალიერებთ შალვა ძნელაძის მუზეუმს, სადაც ყოველთვის დაგხვდებათ საინტერესო და სასიამოვნო ატმოსფერო“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

**გამოფენის კურატორია ნანა ზაალიშვილი. მისამართი: სოფელი დიღომი, სვეტიცხოვლის ქ. N1.**

# კალიგრაფიის კონკურსი ქუთაისში

**14 აპრილს საქართველოში დედაენის დღეს აღინიშნა. ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ა(ა)იპ „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებასთან“ ერთად, ტრადიციულად, კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა.**

წელს კონკურში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა მოსწავლემ, პედაგოგმა და დაინტერესებულმა პირმა. კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულები ქუთაისის მერის მოადგილემ მამუკა ხიმშიაშვილმა, საკრებულოს კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ზექა ქებულაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს.



**მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა თამარ ჩაფიჩაძემ, მეორე ადგილი – ანასტასია ნიქაბაძემ, მესამე კი – მარიამ გოგიბერიძემ; პედაგოგებიდან პირველი ადგილი ერგო ნატო დანგაძეს, მეორე – ინგა ტორჩინავას და მესამე – სალომე თადუმაძეს. დაინტერესებულ პირთა შორის პირველ ადგილზე გავიდა ელისო ჩუბინიძე, მეორეზე – ელენე ენდელაძე, მესამეზე კი – თორნიკე კოპალიანი;**

ჟიურის სიმპათიის პრიზი მოიპოვეს: **ნათია ზედინაშვილმა, თამარ ერაძემ და ანასტასია გოგავამ. კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგვეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 18 აპრილს